



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: გადასახად. და მათი კლასიფიკ. Z-სა.—შინაური მიმხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენტები.—თბილისი თუ ზოზიცი, ნ. ელიავა-სი.—ორი სურათი, გრ. რ-სი.—სახლდარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—„ცნობის ფურცელს“, უბნობისა.—ქუთ. ქალაქ. აზხ. გამო, არაქომუდისა.—დაშინის უბინარი მტერი, ი.—ლისა.—დას წერილი მ. თაფურბას, ამხ. წვერი ი. ღუნღუა და სარეკ. კომ წევ. ზ. ბერძნისუდისა.—განცხადებანი.—

გადასახადები და მათი კლასიფიკაცია.

II.

წინეთ მოხსენებულ ციფრებიდან მკითხველი დაინახავდა, რომ გადასახადები დღეს მთავარ წყაროს შეადგენს სახელმწიფოს შემოსავლისას. სახელმწიფოს მოთხოვნილებანი თან და თან იზრდება; მატულობს ხარჯები და ამის და გვართ თან და თან იზრდება და დიდდება ქვეშევრდომთაგან გასაწევი გადასახადებიც.


ის დიდი ციფრები, რომლებიც ჩვენ აღვნიშნეთ, არ შედგება მარტო ერთი და ერთი გადასახადისაგან. ყოველ სახელმწიფოში მრავალი გადასახადია დაწესებული. ამათში ზოგიერთები ისეთ საგნებზეა დადებული, რომ, როცა უკვირდებით, გოცებო ნიჭი ფინანსისტებისა, რომლებიც მუდამ პოულობენ ახალ-ახალ საგნებს, საბუთებს და სახელებს გადასახადთა შემოსაღებათ. „ფისკს“ უყვარს გადასახადების სიმრავლე. გადამხდელი ნაკლებ ბუზღუნობს და ნაკლებ უკმაყოფილებას აცხადებს, როცა მას მრავალ ჯერ მიადგებიან და სხვა და სხვა სახელით მონათლულ გადასახადებისათვის მოგახოვენ ფულის გაღებას: გადასახადთა დაყოფა-დანაწილების გამო იგი იმდენათ ვერ ამჩნევს და ვერ გრძობს იმ ტვირთის სიმძიმეს, რომელსაც ეწვევა სახელმწიფოსათვის, რამდენათაც შეამჩნევდა და იგრძნობდა ამას იმ შემთხვევაში, თუ რომ მას ერთხელ და ერთი სახელით თხოვდნ მისი საწილო გადასახადის გასტუმრებას. ადამიანის ასეთი ფსახოლოგია საფინანსო მართველობამ კარკათ იცის და სარგებლობს კიდევ მითი სახელმწიფოს შემოსავლის გასადიდებლათ: იგონებს ახალ სახელებს და ამრავლებს გადასახადებს...

მიუხედავთ გადასახადთა ასეთი სიმრავლისა და აგრეთვე იმ გარემოებისა, რომ ყველა სახელმწიფოებში ერთგვარი საგდასახადო სისტემა არაა მიღებული, შესაძლებელი არის მაინც საზოგადოთ გადასახადთა ასეთ თუ ისეთ რიგზე დაწყობა და კლასიფიკაცია. საკანონო მეცნიერებაში სხვა და სხვა ავტორები გადასახადებს მრავალ გვართ ყოფენ. ჩვენ აქ ყველა იმათი მოხსენება და აღწერება მკითხველისთვის სა-

ინტერესოთ არ მიგვიჩნია. ამიტომ მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთ კლასიფიკაციას, რომელიც უფრო ხმარებული, მარტივი და ადვილი გასაგებია. ეს არის სახელდომ ის კლასიფიკაცია, რომლის თანახმათ ყველა არსებული გადასახადები ორ ჯგუფთა იყოფა: პირდაპირ გადასახადებათ და არა-პირდაპირათ.

პირდაპირს უწოდებენ ისეთ გადასახადს, რომლის გადახდა და ნამდვილათ ტვირთება, კანონ-მდებლის განზრახვით მაინც, ერთ და იმავე პირს აქვს დავალებული. მაგალითათ, შემოსავალზე დაწესებული გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს. აქ გადამხდელმა უნდა წარუდგინოს მთავრობას ცნობები თავისი წმინდა შემოსავლის შესახებ (დეკლარაცია), რასაც თვითონ მთავრობა უშვრება თავის მხრით კონტროლს, და კანონით დადგენილ პროცენტის მიხედვით უნდა გადაიხადოს გადასახადი. აქ მან ჯერ ხარჯები უნდა იანგარიშოს, მერე მთელი შემოსავალი, ხარჯები უკანასკნელს უნდა გამოაკლოს და დანარჩენს რაც ხვდება დაწესებული გადასახადი, ის გაიღოს. ცხადია, გადასახადის რაოდენობით მისი წმინდა შემოსავალი მცირდება. აქ გადამხდელიც და გადამხდლის ნამდვილი მკისრებელიც ერთი და იგივე პირია, ე. ი. ის, ვისაც შემოსავალი ეკუთვნის.

ავიღოთ კიდევ მაგალითათ მიწის გადასახადი. ეს გადასახადი გაიწერება ხოლმე მიწის გამოსავლის კვალობაზე, ე. ი. მიწის პატრონმა უნდა გადაიხადოს დაწესებული პროცენტი იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალს აძლევს მას მიწა. ამ გადასახადსაც პირდაპირი ქვია. მართალია, აქ შეიძლება, რომ გადასახადის გამღები და მასი ნამდვილათ მკისრებელი ერთი და იგივე პირი არ იყოს. ვთქვათ, მე მიწა მაქვს გასაყიდა რომელიც იძლევა წლიურათ 50 მან. წმინდა შემოსავლის, ვთქვათ, რომ ამავე დროს კაპიტალის ჩვეულებრივი სარგებელი 5 პროცენტი, ე. ი. 100 მანათი რომ გავასესხო, წლის ბოლოს 5 მანათს სარგებელს ავიღებ. ვთქვათ ამასთან კიდევ, რომ წელს შემოიღეს ჩვენ სახელმწიფოში მიწის გადასახადი და მე ამ ჩემ მიწაში 5 მანათი მიწვეს წლიურათ გადასახდელათ, როგორც ვთქვი, მინდა მიწის გაყიდვა. რა



ღირს იგი და რა ფასში შევიძლება მის გაყიდვას? თუ მიწა 50 მან. შემოსავლს იძლევა და კაპიტალს არც მცირე სარგებელი ნ პროცენტია, ცხადია, ჩემი მიწის ფასი 1000 მან. უნდა იყოს. მიწის მუშტარი ესე იანგარიშებს: დღეს რომ კაცმა 5 მან. სარგებელი მიიღოს, ამიტვის საქმეა ქონდეს 100 მანათი. ეს მიწა 50 მან. იძლევა, მაშალაძე, მისი ფასი ათჯერ ასი მანათი, ე. ი. 1000 მანათი ცოფილაო. მუშტარიც თანახმაა ფასზე, მცც თანახმა ვარ, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩემ მიწაში ამგვართ გამოთვლილ ფასს მივიღებ. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. მუშტარი მეტყვის:

— ეგ მართალია, რომ შენი მიწა შემოსავლის კვალობაზე ათასი მან. ღირს. მაგრამ ჩვენ არ ჩავვიდნია ის გადასახადი, რომელიც სახელმწიფოს მიიღებს. თუ შენ მიწაში ათასი მანათი მოგეცი და მე წლიურათ 5 მან. მიწის გადასახადი ვაძლიე სახელმწიფოს, მაშინ 50 მან. შემოსავალი კი არ დამრჩება მიწისაგან, არამეთ მხოლოთ 45 მან. ამ სახით გამოვა, რომ მე 5 პროცენტზე ნაკლებ სარგებელს მიძლევს ის კაპიტალი, რომელიც მიწაში გამოიღია და აბა შენვე გასაჯე: რა ქეუა იქნება ჩემი მხრით, ეს მიწა ვიყიდო და ნაკლები სარგებელი ვიღო წლიურათ, როცა ჩემი ფული რომ გავასესხო, ყველგან მომცემენ 5 პროცენტ სარგებელს. თუ გინდა ისეთ ფასში მომიყდე, რომ მიწისაგან სახელმწიფო გადასახადის გასტუმრებას შემდეგ 5 პროცენტი სარგებელი მრჩებოდეს, ე. ი. გადასახადი შენ იკისრე, რა კაპიტალიც ამას ეთანასწორება, მიწის ფასიდან გამოიკელი და დანარჩენს მოგართმევო.

სწორი ანგარიშია და მეც იძულებული ვარ დავთანხმდე. მყიდველი მიძლევს 900 მანათს და მე ხელს ვიღებ საკუთრებაზე. ახალ პატრონის ხელშიაც მიწა 50 მან. შემოსავლს იძლევა. აქედან 5 მან. სახელმწიფო გადასახადს ისტუმრებს პატრონი და დანარჩენ 45 მანათს ჯიბეში იღებს. ვინ არის აქ მიწის გადასახადის ნამდვილი გადამხდელი?

ცხადია, ეს პირი მე გახლავართ. მყიდველმა ფასიდან გამოამირიცხა გადასახადის ჯამი. აწი წლიურათ თუმცა იგი იხდის გადასახადს, მას შეაქვს ხაზინაში, მაგრამ ეს გარემოება მე არაფერს მძენს და იმ ათ თუმანს, რომელიც დამაკლდა გადასახადის გულისთვის, არ მიბრუნებს. მიწის ახალი პატრონი არის მხოლოთ გადასახადის გადამხდელი, სახელმწიფოსთვის ფულის ჩამბარებელი, მე-კი ნამდვილი, მუდმივი მტვირთებელი ამ გადასახადისა.

ვიმეორებთ, მიწის გადასახადის სისტემაშიაც შეიძლება მოხდეს, რომ გადასახადს გადამხდელი და გადახდილის ნამდვილი მტვირთებელი ერთი და იგივე პირი არ იყოს. მაგრამ, მიუხედავთ ამისა, მიწის გადასახადი მაინც პირდაპირი გადასახადია. კანონ-მდებლის განზრახვით გადასახადის ტვირთის ასე ერთი ზურგიდან მეორეზე გადადება აქ არ უნდა ხდებოდეს; კანონს უნდა, რომ გადასახადი მუდამ მიწის პატრონს ერთმეოდეს და იმასვე ეტვირთებოდეს. და თუ ეს ნამდვილათ ზოგჯერ ასე არ ხდება, ამის მიზეზი რეალურ ეკონომიურ განწყობილებაში იმალება და სრულიათ დამოუკიდებელია კანონის ტენდენციისა და კანონმდებლის განზრახვისაგან.

სულ სხვა აზრი და განზრახვა აქვს კანონ-მდებელს არა-პირდაპირ გადასახადთა დაწესების დროს. აქ კანონ-მდებელს სურს, რომ გადასახადს გამსტუმრებელი (ფულის შემტანი) და ნამდვილი მტვირთებელი სხვა და სხვა, ერთმანეთისაგან განცალკევებული პირნი იყვნენ. სურს ეს, რადგან პირდაპირ იმისგან აღება ფულისა, ვისაც კანონი აკისრებს გადასახადის ნამდვილ მტვირთებლობას, პრაქტიკულათ მოუხერხებელია. მაგალითათ, ჩვენ სახელმწიფოში დაწესებულია განსახდერული გადასახადი ფაბრიკულათ დამხადებულ თუთუნზე და პაპი-

როსებზე კანონი გადასახადს ავალებს თუთუნის მწვევლებს. მაგრამ ამ გადასახადის აღება პირდაპირ მწვევლებისაგან, პირდაპირ მომხმარებელთაგან მეტათ მოუხერხებელია, რადგან ამას დაჰირდება დიდი ხარჯები, დიდი და ძნელად-კანტროლური და რთული სამართველო ორგანიზაცია. ამიტომ მთავრობა ამ გადასახადს ფაბრიკანტს ატევიენებს. იგი ბეჭდავს ბანდეროლებს, რომლებსაც თვის თავათ არავითარი ღირებულება არა აქვს, და აძლევს ფაბრიკანტს თუთუნზე და პაპიროსებზე შემოსახევეათ. ამ ბანდეროლებში მთავრობა თუთუნზე დაწესებულ გადასახადს იღებს ფაბრიკანტისაგან. ფაბრიკნტი ვალდებულია თუთუნს და თუთუნის ნაწარმოებებს ბანდეროლი შემოაკრას, მაშასადამე, ბანდეროლი იყდოს, გადასახადი გადიხადოს. უამისოთ მას მთავრობა ნებას არ მიცემს, ნაწარმოები გასასაღებლათ გამოიტანოს. ამ სახით ფაბრიკანტი იხდის, მაგრამ ნამდვილი გადამხდელი კი იგი არ არის. გადასახადს იგი საქონელს უმატებს ფასში და ვაჭრებს ახდევინებს; ვაჭრებაც თავის მხრით ასე აწეულ ფასში ყილიან და გაცემულ გადასახადს მომხმარებლებისაგან იბრუნებენ. ამგვართ გადასახადის ნამდვილი გადამხდელი მომხმარებელი არიან და არა ფაბრიკანტი ან ვაჭარი.

ავილოთ სხვა მაგალითი. ვთქვათ, მე მიწას ვყიდულობ. კანონ-მდებელი ამ შემთხვევაში მე გადასახადი ძავალეს სახელმწიფოსათვის. მისი აზრით მე, ვიძენ-რა ახალ ქონებას, ვძლიერდები ეკონომიურათ და ამიტომ შევიძლებ კიდევ ცალკე გადასახადის გაწევას სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. თუმცა ამ სახით გადასახადი მე მაქვს დავალებული, მაგრამ მისი პირდაპირი გადამხდელი მე არა ვარ. ამ გადასახადს იხდის ის, ვისგანაც მე მიწას ვყიდულობ, ე. ი. მიწის გამომყიდველი. ამ უკანასკნელმა უნდა შემიდგინოს მიწის მოყდვის საბუთი, ხელი უნდა მოაწეროს და მართველობას დაამტკიცებოს. და, აი, ამ დამტკიცების დროს რგი იხდის გადასახადს, რომელიც ან წინდაწინ არის გარეგებულ ფასში შეტანილი და ან ცალკე უნდა გადაეუხადო გამომყიდველს. თუ ვინ ვის აკისრებს აქ ნამდვილათ გადასახადის გასტუმრებას, გამყიდველი მყიდველს თუ მყიდველი გამყიდველს, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიურ გარემოებათაგან. ყოველ შემთხვევაში გადასახადის ნამდვილ მტვირთებლობას კანონ-მდებლის განზრახვით მყიდველი უნდა ეწვეოდეს და არა გამყიდველი.

ან ავილოთ სხვა ასეთივე აღებ-მიცემობის გადასახადის მაგალითი. თეატრების ბილეთებზე დაწესებულია გადასახადი. თეატრის გამგეობა ყიდულობს მარკებს და აკრავს ბილეთებს. შემდეგ ამას წარმოდგენაზე დასასწრებათ მისული საზოგადოება იხდის, რადგან მარკის ფასი ზეთ ერთვის ბილეთის ფასს.

ან, ვთქვათ, საზღვარ გარეთიდან შემოტანილ პურზე ბაჟი არის დაწესებული. ამ ბაჟს იხდის ვაჭარი (იმპორტერი, ე. ი. პურის შემოტანი), მაგრამ მის ჯიბეს კი არ აკლდება ეს გადასახადი. იგი ბაჟის მიხედვით პურის ფასს აძვირებს და მომხმარებლებს ახდევინებს. და, აი, ამიტომ ქვია ასეთ გადასახადს არა-პირდაპირი, რადგან იგი მთავრობისაგან პირდაპირ იმას არ ერთმევა, ვინც არის მისი ნამდვილი მტვირთებელი.

I. პირდაპირ გადასახადთა კატეგორიას ეკუთვნის შემდეგი გადასახადები:

- 1) პირადი გადასახადები (მაგალითათ, თითოეულ სულზე დაწესებული (подушная подать), რომელიც რუსეთში პეტრე დიდის დროს იქნა შემოღებული და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წლებამდე არსებობდა.)
- 2) შემოსავლის გადასახადი (რომელიც ადევს გადამხდელის წმინდა შემოსავლის მთელ ჯამს).

გი ინახენ და არა ისინი, ვინც ამ დაცვისულებით სარგებლობს. მით უმეტეს მიიზღვრება თქვენ ურადლებას იშვიათი მოვლენა. ჩვენ კორესპონდენტი მოგვითხრობს: სოფელ ნიგოთის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს ინახონ წლიურათ სამეთხველეს შესახებ არაფერი შეურია. აქ რასაკვირველია, ჩვენთვის გადასახდის რადენობა კი არაა საურადლებო. სოფლებებისათვის არი შეურინც დიდი ფულითა. არა, ჩვენ აქგვინტერესებს თვით შინიციში. ხალხს იმდენათ შეუგნია სამეთხველეს სარგებლობა, რომ თავისი სურვილით თავის თავს გადასახდის ადებს: აი სწორეთ სისამოვნო მოვლენა. სწორეთ ეს არის ნამდვილი გზა, რომლითაც სვლა ჩვენ გავსათვისუფლებს უფულ ქველ მოქმედებისაგან და შეგვადლებებს უფულ იმ საქმეს, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, ჩვენი ძალ-დანიით გაუძღვეთ და არა სხვებს შევეურებდეთ.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქუთ. ხმოსანთა არჩევნებმა ჩვეულებრივთ წელსაც უხმით ჩაიარა. კენჭებმა ბევრს გაუცრუა იმედები და ბევრი ისეთები გახსნა, რომლებიც — თუმცა უთუბი კი დაიდგეს, მაგრამ სრულიათ არ ელოდნენ გათეთრებას. უთუი დაუდგეს 116 ხმის; ამომრჩეულების რიცხვი კი 410 კაცს უდრიდა. ამოსარჩევი იყო 60 კაცი; ამომრჩეულ იქმნა 57 — დანარჩენებს ხელმეორეთ დაუდგამენ ამ კვირაში უთუბს.

- არჩეულ იქნენ: მ. ე. დარსხველიძე — 339 თ. 69 შ., ა. ს. ფაფაძე — 331 თ. 78 შ., ს. ბ. თათურა — 312 თ., 98 შ., დ. ა. ლორთქიფანიძე — 309 თ. 100 შ., გ. ბ. ლორთქიფანიძე — 299 თ. 113 შ., ს. ნ. ლორთქიფანიძე — 289 თ. 122 შ., გ. ფ. ზღანოვი — 282 თ. 126 შ., ი. მ. ჩიქოვანი — 279 თ. 130 შ., დ. ბ. ხელთუფლიშვილი — 311 თ. 99 შ., ი. ი. ცხელი — 276 თეთრი 142 შ., ა. თ. ნანიშვილი — 263 თ. 145 შ., დ. ბ. მდივანი — 261 თ. 148 შ., ნ. მ. კანდელაკი — 258 თ. 151 შ., კ. დ. ბაქრაძე — 255 თ. 155 შ., ს. ი. წერეთელი — 254 თ. 156 შავი, დ. ა. ნახარავი — 252 თ. 156 შ., გ. დ. ქორქაშვილი — 262 თ. 146 შ., გ. ზ. კაკაბევი — 248 თ. 161 შ., ს. ი. ხუჩინავი — 244 თ. 166 შ., ი. ა. მიქელაძე — 242 თ. 167 შ., ი. ზ. კაკაბევი — 242 თ. 166, ნ. გ. ჭიჭინაძე — 239 თ. 167 შ., ზ. კ. მატყვარიანი — 237 თ. 171 შ., კ. ნ. ჩიკვაძე — 237 თ. 171 შ., ნ. ს. ბარბაძე — 238 თ. 171 შ., თ. თ. ციკორიძე — 232 თ. 177 შ., გ. ი. ჭიჭინაძე — 230 თ. 178 შ., დ. ნ. აბდუშელიშვილი — 233 თ. 176 შ., გ. გ. გამრეკელიძე — 254 თ. 157 შ., ფ. ბ. გაბუნია — 232 თ. 177 შ., გ. ს. ბარათაშვილი — 217 თ. 191 შ. ზ. ზ. ქორქაშვილი — 217 თ. 189 გ. გ. ბაკურიანი — 222 თ. 188 შ., ს. ნ. დათუშიძე — 218 თ. 193 შ., დ. გ. წულუკიძე — 215 თ. 197 შ., მ. დ. ქორქაშვილი — 226 თ. 180 შ., გ. ე. ფან-შუღლი — 213 თ. 197 შ., ს. დ. ჯაფარიძე — 208 თ. 202 შ., ი. დ. აბზანიაძე — 208 თ. 200 შ., ფ. ა. რელიგიონი — 223 თ. 186 შ., ბ. ზ. მისეშვილი — 224 — 185 ს. უ. ბარქაია — 206 თ. 203 შ., ს. ზ. ფირაღოვი — 205 თ. 204 შ., გ. ი. ზეტრიაშვილი — 207 თ. 203 შ., ი. ნ. ნიყარაძე — 208 თ. 199 შ., კ. ს. გუგუშვილი — 223 თ. 186 შ., ი. ი. ზურაბოვი — 215 თ. 193 შ., ნ. მ. ჯანელიძე — 226 თ. 183 შ., ა. ი. ფიფინოვი — 270 თ. 140 შ. დ. მ. ბასტაძე — 216 თ. 192 შ., ი. ა. ჯაიანი — 211 თ. 201 შ. მ. ა. ქიქელიძე — 218 თ. 191 შ., ზ. ა. თუმანიანი — 227 თ. 183 შ., რ. ქ. მახარაძე — 220 თ. 188 შ., გ. ხ. კიზარია — 239 თ. 170 შ., ს. გ. ბაკურიანი — 216 თ. 144 შ., დ. ზ. კაკაბევი — 267 თ. 139 შავი.

თფილისის ერთმა ზოლიციის ბოქალულებთან მიმართა ქალაქის ზოლიციისტერს გამოსარჩევნათ იმის, ზოლიციამ უნდა შეადგინოს ოქმი, რადესაც მორიგ მეზობებს შეურაცხოვოს მათეებებს სიტყვით ანუ საქმით და წარადგინოს სასამართლოში, თუ შეურაცხოვოდ მეზობელ თითონ უნდა მიმართოს სასამართლოს, როგორც

უფლა კერძო მომხიჯანმა. თფილისის ზოლიციისტერს, მიიღო რა მხედველობაში, რომ მეზობეთა ინსტიტუტი შემოღებულად იქნა, რამელიც თავადმა მთავარ-მართებელმა გამოცრა, — განუმარტა ბოქალულებს, რომ უკეთუ მორიგეობის დროს შეურაცხოვოს მათეებებს მეზობეს სიტყვით ანუ საქმით, უნდა შეაყენონ ოქმი და გადაცენ სასამართლოში საზოგადო წესით ისევე, ვითომ შეურაცხოვოთ მიუყენებიათ ზოლიციის მოხელეთათვის თანამდებობის აღსრულების დროს.

წელს თფილისის სახელისნა საწავლებელში ეკონომები დასრულდა 4 იმისის. სწავლა დაამთავრა სულ 38 მოსწავლემ. მათ შორის 13 რუსმა, 10 სომეხმა, 1 ოსმა და 14 ქართველმა.

9 ივნისს, სთავად-ახნაურთ თეატრის ფთიუში, გ. მ. ლახიშვილის თავმჯდომარეობით კერძო კრება მოხდა სახალხო წარმოდგენების გამართვად ქართულ სექციის და სახალხო სცენის მოღვაწეთ რამდენისავე საქმის განსახილველათ. კრებაზე დამსწრეთ სექციის ახალ წევრთა კანდიდატებათ ხმის უმეტესობით ამარჩიეს შემდეგი ხირნი: ქ-ნი მ. დემურაიანი, ს. რომანიშვილი, თ. ჩიჭავაძე და ბ-ნი ნ. გოცირიძე, თავ. ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ირ. ხოსიტაშვილი, ალ. სოლოღაშვილი, ი. ციციანი, ი. ბესელიძე, იუშმაღაშვილი და ხახანაშვილი.

კორესპონდენცია.

დ. სამბრაღია. კვირას, 2 ივნისს დ. სამტრედიასი მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა, ხელისნებთა და ვაჭართა კრება. კრებას გასარჩევანთ ქონდა ორი საქმე: ქსენონის დაარსება და ბირუტყვთა გასაყიდათ ადგილის არჩევა, რადგანაც დღემდე არსებული ადგილი ამ საქმისათვის ბაზარში უსუფთაობას აძლიერებს. ბევრი ლაზარაკის შემდეგ ურილობამ დაადგინა დაარსოს ქსენონი და დამსწრე საზოგადოებამაც ხელი მოაწერა ამ განჩენს.

დადგენილების განსახორციელებლათ ამომრჩიეს კომიტეტი. ვუსურვებთ ამომრჩეულ ხირთ, რომ ეს ფრად სიმბატიური საქმე მალე განხორციელდეს საზოგადოების საკეთილდღეოთ.

არ შემოძლია არ ვუსუფადურთ აქაურ ზოგიერთ „ინტელიგენტებს“, რადგანაც იშვიათათ ესწრებიან ურილობას და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებისათვის საკეთილდღეო საქმეებში, თუ მათ ხირადი ინტერესებს არ შეეხება.

სატურიელი.

დ. ძველი სენაკი. ოდესმე დიდებული წარსულის მქონე, დღეს ეს დაბა მაინცა და მაინც ვერაფერ სახარბილო რამეს წარმოადგენს; ჯამთა ვითარების გამო მას ბირველობა დაუკარგავს და უბრალო დაბათ გადაქცეულა. მიუხედავათ ამისა, სწავლა-განათლების მხრით მას სამეგრელოს დაბებში ბირველი ადგილი უჭირავს. — აქ არსებობს ოთხ-კანუფილებიანი მოსამზადებელი სთავად-ახნაურთ სკოლა; თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ერთათ-ერთი სკოლაა მთელ სამეგრელოში, რომელიც უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული და შესაფერი საყოფიერ მოაქვს. მხოლოთ ერთინაკლი აქვს ამ სკოლას: ეს წოდებრივი სკოლაა და მასსადაც, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისათვის სრულიათ უსარგებლო.

საზოგადოთ სამეგრელოში სწავლა-განათლების საქმე ვერარის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, თუმცადა სკოლების რიცხვი ამ კუთხეში არც ისე მცირეა. სახალხო სკოლები მუნჯური მეთოდისა და ქართული ოქმის სრულიათ განდევნის წყალობით ვერ აღწევნთ თავიანთ დანიშნულებას. ამს ცხადათ მოწმობენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების უქონლობა სამეგრელოს დაბა-სოფლებში. ასე განიხილოთ ისეთ ადგილასაც კი, როგორც არის ახალსენაკი, რომელიც ცენტრია სენაკის მხრის, სადაც იმყოფებიან სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებები და რომელიც თავის სიდიდით და ადებ-მიცემობით

ზოგიერთ ზეგნ ქალაქებს არაფრით ჩამორჩება, თუ არ ჯობნის, სემკითხველად არ არსებობს. სამეგრელოში იმეათათა ისეთი კულტურული დაწესებულებები, რომელიც ასე სსკელ-განთქმულია მისი მეზობელი გურია. საჭიროა რამე დონისძიება, რომ მიძინებულმა სემეგრელომ გამოიღვიძოს და სკერთა ცნობების ფერხულს არ ჩამორჩეს. ერთათ-ერთ დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ამ დიდ საქმეს დახმარება აღმოუჩინოს; არის ქ-თა შორის წ.-კ. გ. სსზოგადობა, მას შეუძლია არსებული სკოლა ძველ სენაკში გააფართოვოს, მოუმატოს ზარალეული განყოფილებები, მოსწონს მისი წოდებრივი კარნიკეტილობა და შეძლება მიცეს უმრავლესობას ამ სკოლის კარზე არ დაჩქაროს; იშუამდგომელს მთავრობის წინაშე, რომ განსწავლავს სკოლის განყოფილება ახალსენაკში, სადაც სამკალი მრავალია. რომ ამხარ ტიპის სკოლას დიდი ნაყოფი შეუძლია მოიტანოს, ამის მოწამე ზეგნ თვითონ ვიყავით 9 ივნისს.

სკოლის ინსპექტორის თან. აღმასრულებელმა ბ-მა არ. წითლიძემ გამართა სალიტერატურო დღეა.

დღეა დილა 11^{1/2} საათზე და ხაშუადლევის სამის ხანგარზე დასრულდა. ბავშვებმა საუცხოოთ წავითხეს ქართულ-რუსული ლექსები და სტენები და იმდერეს სიმღერები. ეტეობა, მასწავლებლები გულმოდგინეთ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ქება-დიდება მათ, რომ ასეთ მნიშვნელობას აძლევენ მოზარდ თაობის აღზრდას და შრომას არ იშურებენ. დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ცემითა და ვაშის ძახილით დააჯილდოვა ზატარა გმირები, რომელთა მღვანე და მკვირცხელი ტიტინი ნეტარების გვირდა მსურებლებს და ოცნების მორეკში შეკვდა: „ნეტავი, რა იქნება, რომ უველა ზეგნ სკოლებში ასე საუცხოოთ იყოს სწავლის საქმე დაეხებულა!“ ფიქრობდა ის.

ნიგოლითი. ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო დღემდის ნიგოლითის უფროსი სამკითხველო, რადგანაც ისეთი საქმის მოთაური არა უავდა, რომელსაც უნდა ეხრუნა მის კეთილ დღეობაზე, ამიტომაც ხშირათ გვესმოდა—აი ხელა უნდა დაიხუროს და აი ხელა, მარა როგორც იქნა, ზოგიერთ ზატარასცემ ზართა შემწეობით სულა მოიტანა დღემდის, ხელა კი ნიგოლითის საზოგადო კრებამ განაჩინა დაადგინა: „უოველმა მოსახლემ წლაურათ სამკითხველს სსსარკებლათ ინახოს ორ-ორი შაური“. თუმცა ეს ფულა დიდ ვერაფერ თანხას ადგენს, სულ რაღაც ოცდა ხუთმეტ მანეთამდის შეკრავდება, მარა მაინც კარგია, ეს ცოტა თანხაც ერთ-ერთ მხრიდან უზრუნველ უოფს სამკითხველს და შეორეც ისა, რომ საზოგადოება მოსაწილეობას დებულბას მას შენახაში და ძალა უნებურათ ეცდება ინარკებლბას მით კიდევ.

საზოგადოებისგან მადლობას დირსნი არიან ქმ. ართმელაძეები, რომლებიც წლაურათ ოცდახუთ მანეთამდის დახმარებას უწევენ სამკითხველს. ბბ. ართმელაძეები წევრები არიან სამკითხველსი და არა ურიგო იქნება სამკითხველსი უურადლება მიაქციოს ზოგიერთმა სხვა წევრებმაც, რომლებმაც წევრობაზე ხელი მოაწერეს, საზოგადოებაში ამაყთ გაიძახდენ: ზეგნ წლაურათ ამდენს გადავიბდიოთ და შემდეგ კი სამკითხველო“ სათქმელათაც არ განსენებიათ, თვარა გადახდა რასა ქვია!!

გკონებ, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა აქურ მასწავლებლების შესახებაც. ხშირათ სხვა სოფლებში მასწავლებლები თავ გამოდებით ცდილობენ საზოგადოების გონებრივთ წინ-წაწვივისთვის, ადებენ სკვირობა სკოლებს, უძლეუიან სამკითხველო-წიგნთ-საცავის საქმეებს და სხვ. იყო დრო, როდესაც ნიგოლითსაც უავდა ასეთი მასწავლებლები, მარა წავიდა ის დრო და იმათი ადგილი სხვებმა დაიჭირეს. ეხლანდელ მასწავლებლებს აინუნშიაც არ მოსდით საზოგადო საქმეები და სულ ერთთავთ ჯამაგირის მომატებაზე გაიძახიან. დღემდის მათ ახაბართ მიგდებულა სამკითხველო, როგორც მოგახსენეთ, დღითი დღე დახურვას მოკლოდა. შეიძლება ბ. ვაკელის არ

იყოს *) მიკლ თაკასეულ დროს ჩვეულებას გასწორებას ანდომებდენ და ერთი საათიც არა რბობდეთ სხვა საქმეებზე. უნდა გეტყვოდეს, ეს რომ ასე იყოს! და თუ ეს ასეა, მაშინ ვინაა ვინაა სიტყვა სიმართლეს მოკლებული ეოფილა, რომელიც გაიძახდა, უოველ საზოგადო საქმეებს ზეგნ ვუდგვივართ სათავეში და უველაფერს ზეგნ ვაკეთებთ **). ამით მე ბბ. ვაკეღს და ურატაძეს ან მასწავლებლბათ უმრავლესობას უსაქმობას კი არ ვუვიენებ და არც არავითარ გულგრილობას საზოგადო საქმეებისადმი, მარა ზოგიერთს კი, როგორც ეხლანდელი ნიგოლითის მასწავლებლებია, უნდა ვუსუვედუროთ საზოგადო საქმისადმი სრული გულ-ციფობა და ზოგიერთ შემთხვევაში არსებულ საზოგადო საქმეების წინააღმდეგობაც კი, რაც გამოიხატა იმაში, რომ, სხვათა შორის, ერთი აქაური მასწავლებელი სსსტიკათ უკრძალავდა შევირდებს სამკითხველოში სიარულს და სამკითხველს წიგნებით სარკებლობას.

სა-ონ.

სახხმარი. მეტათ ძნელია რისამე თქმა იქ, სადაც გკონება არაა და სადაც სამართლიან რჩევას ეკებებიან მუქართ. ძნელია აგრეთვე რისამე გკეთება იქ, სადაც სკერთა საქმე, გონებრივი წარმატება, ხელხის გამოფინილება ზოგიერთებისათვის მიუწდომელ საგანს შეადგენს და ზოგთ კი სსსცილოთაც არ ეოფინთ. მარა რას იზამ კაცი, ზირუტევი ხომ არ ხარ, ათასს უსამართლობასა და უწესობას ხელადეე უოველ ნაბიჯის გადადგმაზე და ერთი მათგანი მაინც არ ამცნო ვინმეს ან სიტყვით და ან გახეთის სსშუსაღებით? ამ აზრით მეც ამ დების მშრომელი ხელხის ცნობრებიდან შევებები რამდენიმე მათთვის საჭირ-ბორბოტო კითხვებს. ბევრ ქალაქ-დაბებში დიდ უურადლებას აქცევენ ნაქრებისა და მცირე წლოვან ბავშვების მთელი კვირის განმავლობაში აუტანელ შრომა-ჯათს და ავადებენ ვაჭრებსა და ხელახსნებს, რომ ისინი კვირათობით მაინც განთავისუფლბან მუშაობისგან. აქ კი საცოდავები წლის განმავლობაში დუქნებს ვერ ცდილებიან. გული გიკვდება კაცს, როცა კვირა-უქმეებზე ხელხი შემოდის სოფლებიდან სავაჭროთ, ხელადე ამ მცირე წლოვან ბავშვებს დუქნების კარებთან ატრუნებებს, რომელთაც ნება არა აქვთ დუქნებს ცდილდენ; იმათთვის არც წირვას და არც რამე განსართობი. თუ მთელი დღე არ შეიძლება მათი განთავისუფლება, შუადღემდი მაინც განთავისუფლბან და შესასვენს, მით უფრო რომ ხაშუადლევაში ვაჭრობა მაინც არა აქვთ. რაც შეეხება მათ ზნეობრივსა და გონებრივ მხარეებს, ამაზე ხომ არავინ იწუნებს თავს. ჯერ ერთი უმეტესობა ნაქრებისა და ბავშვთა წერა-კითხვის ცოდნას მოკლებული არიან და მეტე, რომ იცოდენ, მაინც წიგნებსაც ვერ იშოვიან. აქაურ წიგნთ-საცავში საამათო წიგნებს თვალთაც ვერ ხახვთ. ხელახსნათა შორის უმეტესობა ხარხა და თერძია; ისინი მოუწეობელსა და ნოტიო დუქნებში ცნობრბენ. ამ დუქნებს არც ოტავი აქვს, არც ხერხიანი ჭერი, კედლები გამოთვლადრავლებულია, საიდხანც ქარი ადვილათ შედის და ზამთარში სიცივით სული ხდებათ. სახურავი უმეტესობას დამაალი და ზოგს სულ გადასდილი აქვს, რადგანაც წვიმა ადვილათ ჩადის და უველაფერს ახსრებს. რომელ დუქნებშიაც ოტავი ავია, ისე ოდრო-ოდრო და დაუმავრებელია სძირველებზე, თუ მარჯვეთ არ იქნით, ფეხი ჩავივარდებათ შიგა და უსათუოთ ან კისერს მოიტენთ და ან ფეხს. აქ ოთხი მეზურეა და ორავასაბი, რომლებიც ისეთი ზურითა და ხორციით გვასხრდობენ, რომ, უკაცრავათ ზასუნია, ძაღლს არ ეტყევა. როცა თვითონ სურთ, მაშინ გამოაცხობენ ზურს და დაკლავენ საქანელს. უნდათ შამშაალით მოკვეყენ, უნდათ მოკვიდიან და უნდათ არა—ეს იმათ სურვილზეა დამყარებული. ერთი სიტყვით, ნოტიო ბინები, უხეირო სტქელი, და-

*) 1902 წლ. „ივერია“ № 243.
 **) 1901 წლ. „ივერია“ № 46.

ბაში უსუფთაობა და თანაც სიღარიბე—აი, რა უსუფთავს სუფსა და გუფს აქაურ ხაფსს.

საუელეელი.

ოპოზიციანა თუ „ოპოზიცია“?

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენმა „წერა-კითხვის გამ. საზოგადოებამ“ საზოგადოების ყურადღება მიიქცია და მის კრებებს სიცხოველე დაეტყო. თუ წინეთ ამ კრებების შესახებ მხოლოდ განცხადებები და შემდეგ უშინაარსო ანგარიშები გვამცნობდნენ ამბავს, დღეს თითქმის თვეები გრძელდება ამ კრებებზე ასაძვრელ და აძღრულ კითხვებზე კამათი. თუ წინეთ კრებებს თითქმის მარტო გამგეობის წევრი ინტელიგენტები ესწრებოდნენ, რომელნიც თვით იყვენ თავისი ნამოქმედარის დამფასებელნი, დღეს საზოგადოებაც საკმაოდ ესწრება და ღაღაღი იღებს მონაწილეობას თავისა მცირე მოწინავე რაზმით. თუ წინეთ ცხრაჯერ უნდა დაერეკათ, რომ ვინმე მისუდიყო სტატისტიკის როლის ასასრულებლათ, დღეს პირველი ზარი საკმარისია, რომ აქტიურ მონაწილეთა საკმაო რიცხვი გამოცხადდეს. ეს ცვლილება ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს და მანუგეშებელი, მაგრამ ბევრისათვის სამწუხაროთ ასე არ არის და ზოგიერთთა კადნიერება იქამდინაც კი მიდის, რომ სხვის გულში ხელის ფათურს იწყებენ და უნდათ რაღაც ბოროტი, ანტისაზოგადოებრივი მიზნები გამოძებნონ. ასე მოიქცა შარშან „ღარბისელოთ“ „ივერია“, და წელს მის გზას გაყვა შარშანდელი ნაოპოზიციონარი „ცნობის ფურცელი“. „ივერია“ მიუხედავთ თავის „განახლებისა“ ცდილობს ძველ გზას არ აცდეს და წელსაც იმასვე ქადაგებს და ისევე იქცევა, როგორც ძველათ, მაგრამ ჩვენ მას არ გამოუდგებით, რადგან ეს არ ახალია—ძველია. ჩვენ გვინტერესებს უფრო ახალი ხილი, რომლის შზგავსი ჯერ ჩვენს საზოგადოებას არ უგემეზბია. ეს განლავეთ „ცნობის ფურცელი“. როგორც ზევითაც ვთქვით, შარშან „ცნ. ფურცელი“ ოპოზიციანაში იდგა, თუმცა მისი ქცევა ზოგიერთჯერ გაუგებარი იყო. წელსაც, მას რომ კითხვით, ის წმიდა წყლის ოპოზიციანა, მაგრამ ნამდვილათ ოპოზიციის წინააღმდეგია, რომელიც ბევრი რამ თვისებებით შეამკო და ბოლოს „უსუსურათ“ აღიარა. მართალია, ამ მოძრავე „ფურცლის“ აზრი არავისთვის საშიში არ არის, რადგან მან ხშირათ იცის აზრების ცვლა და ადვილათ შეიძლება მერმის დაუბრუნოს ოპოზიციას „სიმწიფის ატესტატი“, მაგრამ თვით ეს ცვალებადობაც მეტათ საინტერესო მოვლენაა ჩვენ პატარა ცხოვრებაში და ერთხელ კიდევ ღირს მანზე შეჩერება.

ნათქვამის დასამტკიცებლათ შორს არ წავალთ, „ცნ. ფურცლის“ № 1810-ში ამ განხეთის თანამშრომელი, ბ. კალამი წერს ოპოზიციანზე:

„ძლიერ შემცდარი იქნება ის, ვინც მიაწერს ყველაფერს ამას რაღაც „ინტრიგებს“ და ახალგაზდების სურვილს, რომ მაინც და მაინც ჩამოაგდონ „ძველები“, დამსახურებული პირები ტახტიდან და მათი ადგილი დაიჭირონ; აქ არის მსოფლიო წმიდა წადილი „საზოგადოებაში“ მეტის სიცოცხლის შეტანისა, ენერგიულობის და ნაყოფიერებისა. დეარწმუნებთ პატივცემულ „მამებს“, რომ არავისი მონაპოლია არ არის საზოგადო საქმე და ძლიერ მანუგეშებელია ის გარემოება, რომ „საზოგადოებისადმი“ ინტერესი იღვიძებს სწორეთ იმ ელემენტში, რომლებსათვის ყველაზე უფრო სასარგებლოა „საზოგადოების“ მოღვაწეობა. ტყუილათ დასცინიან ამთ ზოგიერთთ ვაებატონები „საკვირაო სკოლაში კურს დამთავრებულთა“ სახელით! ეს სამარცხვინო და ძლიერ სუსტი იარაღია!“..

როგორც ხედავთ, აზრი ჩვენი შეხედულებით მეტათ სამართლიანი და საბუთიანია, მაგრამ ცვალებადი „ფურცელი“ ერთ აზრზე ვერასოდეს ვერ შეჩერდება და ამიტომ ერთი თა-

ნამშრომლის მიერ დაგმობილ „სამარცხინო იარაღს“ მეორე ხმარობს და თავიც მოაქვს მით. „ფურცლის“ პუბლიცისტი ოპოზიციას დებს ბრალათ: „გამგეობის წინააღმდეგე ინტრიგები მარტო იმისთვის, რომ იგი გამგეობაა“ (№ 1810-ში). მართლათ ესეც სწორეთ ისეთივე სხვის გულში ხელის ფათურია როგორც შარშან „ივერია“ ჩაიდინა შეერთებული ოპოზიციის წინააღმდეგ, როცა მათი მოქმედების მოტივათ „საგამგეობო კოფოზე“ წამოკუბების სურვილი დასახა, და წელ „ფურცელელებს“ სომხების წინ კუდის ქიცინი. ღიახ, შეილება ოპოზიცია წელსაც სუსტი იყო,—შარშანაც, მაგრამ ვარავის ნებას არ აძლევს დასწამოს მას მარტო ლაპარაკისათვის ლაპარაკი. ასეთი მსჯელობა იქამდინაც ადვილათ მიგვიყვანს, რომ ზოგიერთი გაზეთთა, მაგალითათ თუნდიგეც „ფურცელი“, მარტო ამისთვის გამოდის, რომ გამოდიოდეს. მერსამართლიანი იქნება ასეთი მსჯელობა? „ფურცლის“ ლოლიკით ყოველათ სამართლიანი, რადგან ბევრია ისეთი, რომელთაც ძლიერ არ მოწონთ ეს გაზეთი. ოპოზიციის წინააღმდეგ კი მხოლოდ ეს არ მოწონება წამოყენებული. ამის სიმართლეს ქვევით დავინახავთ.

„ფურცლის“ იმავე № 1821-ში განხეთის მეთაური ამაბობს „წრევანდელი კრების ოპოზიციან კადევ უფრო მეტ სამწუხაროთა ბეჭდვებას ახდენდა, ვიდრე შარშანდელი: ზრდის და გაღონიერების მაგიერ ჯერ კადევ უსუსურობას ვხედავთ“.

სწორეთ რომ დამაღონებელი და სამწუხარო მოვლენა იქნებოდა, ეს რომ მართალი იყოს. მართლაც, რა უნდა იყოს ოპოზიციან, რომელიც „დიდი ასაკის არ არის“, მაგრამ დღითი-დღე უკან დახვევის მეტი არაფერი ეტყობა?! არ ვიც როგორი შთაბეჭდილების მიმღები ორგანოები აქვთ „ფურცლის“ მეთაურებს, ან როგორი გავლენა აქვს ამ მხრით „საგამგეობო კოფოზე“ ჯდომას საზოგადო კრების წინაშე და ამიტომ ვერას ვიტყვი „ფურცლის“ მეთაურთა ამ განსაკუთრებული პირობების შესახებ, რადგან მხოლოდ ამშია არსებობ განსხვავება წრევანდელსა და შარშანდელ კრებებს შორის. ხოლო რაც შეეხება იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც კრების აგარიშები ახდენენ, მე სულ სხვა გვარათ მეჩვენება და სწორეთ ამან ამადებია კალამი. მართლაც, რას უნდა დაესუსტებია წელს ოპოზიციან? საზოგადოების მოქმედების ანგარიში იყ წელს განსხვავებული, შაბლონს გადაცილებული, და ამით დეკარვა ნიადავი ოპოზიციანს? ვფიქრობ „ფურცელიც“ დაგვთანხმება, რომ ყოველივე ის შენიშვნა, რომელიც შარშანდელ კრებებზე გამოითქვა, წელსაც ისევე სამართლიანი და საბუთიანი იქნებოდა, როგორც მაშინ. მთელი განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ვ. ლორთქიფანიძის მაგიერ არ ჯორჯაძე აწერდა ხელს ანგარიშს და ი. ზურაბიშვილის ნაცვლათ, ვთქვათ, კ. ჯაფარიძე. ეს არის და ეს! მართალია „ფურცელი“, როცა ამბობს, რომ მის „სამ მომხრეთა“ მოქმედება გამგეობაში არც ისე ხანგრძლივია, რომ იგი ჩანდეს“. პირობებში იყო რასაკვირველია „სამი კვალელიც“. მაგრამ არც „ფურცელელებს“ და არც „კვალელებს“ არ ევატივებათ რომ მათი არაფერი ჩანს არც მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში. ეს გულახდლილათ უნდა აღვიაროთ ორთავემ და ვერცდლოთ, რომ მიმდინარე წელს ანგარიშიც ისეთივე შაბლონურ არ იქნეს, როგორც წრევანდელი იყო.

მეორე მხრით გავსინჯოთ თვით ოპოზიციის მოქმედება იქნებ აქ აღმოვაჩინოთ ოპოზიციის დაძაბუნების ნიშნები. მერსამართლა შარშანდელზე სუსტი იყო ოპოზიციან? პირადათ მე სულ წინააღმდეგს ვფიქრობ, თუმცა ზოგიერთ წინადადებებს აცვეთანხმები, უფრო სინამდვილის გარემოებათა მიხედვით, და არა პრინციპიალური მოსაზრებებით. ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ შარშან დიდძალი ყურადღება არჩვენებზეც იყო

მიტყეული, წელს კი უფრო საქმიან კრიტიკას ქონდა ადგილი, დი უფრო რეალური წინადადებები იყო შემოტანილი. ვიმეორებ, რომ ბევრი ამ კითხვათაგანი წინეთაც აღძრულა, მინდობია გამკვობას მათი განხორციელება, მაგრამ დღესაც შეუძრულებელია და თუ მერმისაც ასე იქნა, უპირველეს ყოვლისა ის უნდა დავასკვნათ, რომ ოპოზიციის მიერ არჩეული კანდიდატები ვერ გამოდგენ ღირსეული და ვერ გაამართლეს იმედები, რადგან საზოგადოების მხრით თანაგრძნობა თანდათან იზრდება, და თუ რამე უეცარმა შემთხვევამ არ შეგვიშალა ხელი, ეს თანაგრძნობა დიდი და საიველო ძალაა. გადავიდეთ ოპოზიციის წინადადებებზე.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ „ფურცლის“ ახირებულობა ამ კითხვის შესახებ. ეს გაზეთი, როგორც ზევეთაც მოვიხსენიეთ, დღესაც ოპოზიციის თვლის თავს (№ 1829), თან ესმის ოპოზიციის „უსუსურობა“, მაგრამ თავისი მხრით არაფერ პრაქტიკულ ზომებს არ ღებულობს, ხელსაც არ ანძრევს*). რით აიხსნება ასეთი ქცევა? თანახმა ვარ, რომ შესაძლებელია არც „კვალს“ ეთანხმებოდეს კაცი და არც „ივერიის“, ე. ი. საკუთარი, განსხვავებული სახე ქონდეს, მაგრამ სად და რაში გამოიხატა ეს ორიენტილობა წელს? საქიროა ამაზე პასუხი მივიღოთ. მეორე ახირებულობა ის არის, რომ გაზეთს გონია, ოპოზიციამ პირში დაღეჭილი ლუკმა უნდა ჩაუღოს პირში გამგეობას, და უკანასკნელმა მხოლოდ ყლაპი უნდა უყოს, ანუ ზარმაცი ბატონისა არ იყოს, „დაძნებით თვით დაიძინოს“. ამა რა ითქმის „ფურცლის“ მეთაურის ამ სიტყვებზე: „გვეგონა, რომ ალბათ მოუხსნავს (ოპოზიციას) საქირო ფულის წყაროთქო“, (1821) რადგან ლაპარაკი ყოველ წელიწადს ამტყუარა ამ საგანზე (რევიზორის მოწვევაზე). განა ეს საბუთია ან კრიტიკა? ოპოზიციამ, რამდენათ შესაძლებელი იყო, გამოძებნა კიდევ წყარო, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, წყაროების გამოძებნა უმთავრესათ გამგეობის საქმე არ არის და მათში ყველაზე უფრო ახალი წევრების? ვთქვათ ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ვერ გამოძებნა, „მეორე“ სადღა იყო, მან რათ არაფერი არ იზრუნა ამის შესახებ? მაგრამ ასე დაწვრილებით „ფურცლის“ არგუმენტების გამოკიდება შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოვიხსენიებ კიდევ მხოლოდ ერთ მაგალითს. „ფურცელი“ ამბობს „ოპოზიციას წელს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საზოგადოების მოქმედების იმ მხრისათვის, რომელიც წიგნების გამოცემას და ვაჭრობას ეხებაო. (№ 1821) აქაც იგივე კითხვა გვებადება—თვით თქვენ სად იყავით ბნო „ფურცლელებო“, რატომ თქვენ არ მიაქციეთ ყურადღება? განა თქვენც ოპოზიცია არა ხართ თქვენთვის სიტყვით! მეორე მხრით კიდევ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ოპოზიციას რომ ამ კითხვის შესახებ ლაპარაკი აქვს, მაშინ თქვენ იმასვე გაიმეორებდით, რაც რევიზორზე ბრძანეთ, და ამა საიდან მოგიაროთ თავი კაცმა და რით დააკმაყოფილოს ოპოზიციამ თქვენი მოთხოვნებიანი? როგორ და რით გავიგოთ რა ხართ: ოპოზიცია თუ „პოზიცია“?

„ოპოზიციის წინადადებები და „მოხსენებანი ყველა უნიადგო და დაუსაბუთებელი იყოფო“, განაკრძობს იგივე მეთაური (№ 1821), მაგრამ თვით ეს კრიტიკა უფრო უნიადგო და უშინაარსო არის. ავიღოთ თუნდ ყველაზე უფრო დაწუნებული, თქვენ მიერ „უცნაურა“ მონათლული წინადადება მასწავლებელთა დათხოვის და მათი საჩივრის შესახებ. პირადათ მე ამ წინადადებას იმ სახით, როგორითაც ის წარმოდგენილი იყო, არ დავეთანხმებოდი, და არ დავეთანხმებოდი უფ-

რო პრაქტიკულ მოსაზრებათა მიხედვით, რადგან დღეს ჩვენი „საზოგადოების“ პირობები არ გვიწყობენ ხელს ასეთი საქმეების საზოგადო კრებებზე გამოსატანათ. თორემ თანაგრძნობა ამ წინადადებაში არაფერი სააუგო და უცნაური არ არის. იმ საზოგადოებას, რომელიც მასწავლებელს ინახავს ყოველთვის აქვს უფლება შევიდეს გამგეობის მოქმედების ამ მხრის განხილვაშიც, ხოლო რაც შეეხება საქიროებას, ამას სულ ახლო წარსული გვიმტკიცებს. კარგათ უნდა გვახსოვდეს ყველას სადამდინ მიიყვანა საქმე ერთ შემთხვევაში გამგეობის ჯიუტობამ! *Nomina sunt odiosa!* ასე საქმის მოწყობა არავის უნახავსო, განაკრძობს იგივე მეთაური, მაგრამ ეს ვერაფერი საბუთია. რაც არ გვინახავს, ის თუ ვერ ვნახეთ, უბედურება იქნება! ისიც ადვილი მოსაზრებელი იყო, რომ თუნდ ამ სახით მთელ საზოგადოებას ეს წინადადება მიეღო, პრაქტიკულათ ის არასოდეს არ იკისრებდა საქმის კრებაზე განხილვას, არამედ მიანდობდა საკუთრივ ამ საქმისთვის არჩეულ კომისიას. გარდა ამისა თუ ეს წინადადება ამ სახით უხერხული იყო და ოპოზიციის ერთი ნაწილი ვერ მიხვდა მის უკეთ მოგვარებას, რატომ „მეორემ“ არ იფიქრა ამაზე. განა შეუძლებელია საკუთრივ პედაგოგებისაგან არჩეულ კომისიას (მუდმივს) მინდობოდა ასეთი საჩივრების განხილვა? ან რამე შეუძრავყოფა იქნებოდა გამგეობას ან მისი კომპეტენციის და უფლებების შელახვის დანახვა შეიძლება ამაში? მაშინ ხომ სარევიზო კომისიის არსებობაც მეტათ უნდა ჩაითვალოს.

გადავიდეთ ახლა მასწავლებლების ჯამაგირების მომატებაზე და მასთან დაკავშირებულ კანცელარიის შტატის შემოკლებაზე. ამ კითხვებთან მეტათ ახლო კავშირი აქვს რევიზორის დანიშვნასაც, რადგან მდივანს მეტი ჯამაგირის ერთ-ერთ გამამართლებელ საბუთათ ისიც მოყავთ, რომ მდივანი იმავე დროს რევიზორიც არის: ეს გარემოება კი თხოულობს მის ქალაქიდან გასვლას და დროებით საქმეების წარმოების მის თანაშემწეთადმი გადაცემას. თუ კი საზოგადოებას საკუთარი რევიზორი ეყოლება, მდივანი კი თავისუფალი იქნება ამ საქმისგან, მაშინ თუ ცხრასი მანათი არა, ათას ორასი მაინც რიგანი გასამჯელო იქნება, და ადვილათ შეიძლება რიგანი ახალგაზრდა მოწვევა ამ ჯამაგირით, თუ დღევანდელი იუკადრისებს ჯამაგირის შემკირებას. რაც შეეხება წიგნების ვაჭრობაში მდგენის დივიდენდით წახალისებას, ეს ყოველათ უსაფუძვლოა და სწორეთ უნიადგო, რადგან ამ საქმეს მთლათ პირველი თანაშემწე აწარმოებს და თუ არ აწარმოებს, შეუძლებელია აწარმოვას და ვაწირაობებივთ კიდევ. თუ კი ორივე ამ საქმეს მოვაცილებთ, მდივანს მაშინ რატომ არ შეეძლება მეტი დრო მოახმაროს კანცელარიის საქმეებს. ეს საქმე კიდევ უფრო გადავიღდება, თუ დღევანდელი ფაქტიურათ თანამდებობის აღმასრულებელი გამგეობის წევრნი იმდენ შრომას მაინც მიიღებენ, რამდენსაც დღეს თავმჯდომარის ამხანაგი ეწევა. ამ პირობებში ადვილათ შეიძლება მერთლაც მოისპოს მეორე თანაშემწის თანამდებობა. და ამათ მკირეოდენი ეკონომია გაკეთდეს. თვით დივიდენდის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ არა თუ ასეთ საქმე მოქმედო საზოგადოებაში, ბევრ კერძო სავაჭრო სახლებშიაც კი არ ეძლევათ ნოქრებს წილი მოგებაში; და მაშასადამე ვაჭრული ანგარიშიც არ თხოულობს ისე სასტიკათ ამ წესის არსებობას, როგორც უმრავლესობამ და „ფურცელმა“ აღიარა. კაცს იმდენი მიეცით, რომ გასამჯელო შრომას უღრიდეს და ეს სულ ერთია, მოგების წილი იქნება თუ განსაზღვრული ჯამაგირი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ შემთხვევაში ცოტაოდენი მნიშვნელობა იდეურ მხარესაც ექნება.

ბევრს ლაპარაკობენ ოპოზიციის მოხსენებაზე რევიზორის მოწვევის შესახებ. მის საქიროებას ყველა ერთხმათ აღიარებს

*) ჩვენ აქ გამგეობის წევრებს არ ვგულისხმობთ, რადგან, ვფიქრობთ, არა მარტო მათგან შედგება „ფურცლის“ პარტია.

და შეუძლებელიცა მისი უარყოფა, რადგან ხშირათ შკოლე-
ბი ურვეზიოთ რჩება ან და ისეთ უხერხულ დროს ხდება ეგ
რვეზიები, რომ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.
საჭირო იყო მხოლოდ წყაროს დასახელება და ეს იკისრა
„უსუსურმა“ ოპოზიციამ, რომელმაც სხვა-და-სხვა ციფრებ-
დან 900 მანეთს მოუყარა თავი ამ დანიშნულებისთვის. რო-
გორც ზევით ვნახეთ ოპოზიციის მიერ დასახელებული წყარო-
ები არც ისე აბუჩათ ასაგდები იყო და ამასთან თუ მივიღებთ
მხედველობაში, რომ საზოგადოების საწევრო ფულის შემოსა-
ვალმაც უნდა იმატოს, და თან თუ ზოგიერთი ასაკილებელი
ზარალიც აიცილა საზოგადოებამ, მაშინ ეს ცხრაასი მანათი
მინც დარჩება. მაშ ამ მხრით საქმის მოწყობა შესაძლებელია.
გარდა უფულობისა ისიც მოაქვთ წინააღმდეგ საბუთათ, რომ
ამ ჯამაგირით არ შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის დიპლო-
მიანი მასწავლებლის მოწვევაო. რამდენათ ვიცო, ოპოზიციის
მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ მომავალი რვეზორი არ
შეეხება ქუთაისის შკოლის პროგიმნაზიულ კლასებს, საცა
„დიპლომიანები“ მასწავლებლობენ, და ჩემის აზრით ეს დათ-
მობა მხოლოდ ზრდილობაანობის შედეგია. ყველა სხვა ჩვენ
სასწავლებლებში და ქუთაისის მოსამზადებელ კლასებშიაც სა-
შუალო სწავლის მქონე მასწავლებლებია. თუ კი უნივერსი-
ტეტის „დიპლომიანს“ შეუძლია სხვა „დიპლომიანების“ რვეი-
ზორი იყოს, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, რატომ ასევე
არ შეიძლება მოვიქცეთ ჩვენ შკოლებშიაც, მით უმეტეს დღე-
საც გვყავს ისეთი გამოცდილი მასწავლებლები, და ამით სწორეთ
ბედნიერი ვართ, რომელთა რვეზორობას არც ერთი მათი
ამხანაგი არ იუკადრისებს. მაშ რით არის განუხორციელებელი
ეს წინადადებები, რით არიან ისინი უნიადაგო ან უსაფუძვლო?
საიდან და რაში დაინახეს „ფურცლის“ თანამშრომლებმა ოპო-
ზიციის დაძაბუნება და უსუსურობა? ნუ თუ იმაშინ, რომ
წელს ოპოზიცია უფრო პრაქტიკულ და რეალურ ნიადაგზე
გადავიდა? ბევრი, ბევრი საკვირველი რამ ხდება ჩვენ ცხოვრ-
ებაში და ერთი მათგანი, სწორეთ ღირს აღსანიშნავი, არის „ფურ-
ცლების“ მოღვაწეობა, მათი ცვალებადობით. მართალია ეს
გაზეთი ყოველთვის გვარწმუნებს ჩვენ ერთი აზრის და შეხე-
დულების ვართო, მაგრამ მოგეხსენებათ სიტყვა სხვაა საქმე
სხვა და სწორეთ ამაშია მათი უბედურება. იმის დასამტკიცებ-
ლათ რომ „ფურცელი“ შარშანაც კრიტიკულათ უყურებდა
ოპოზიციას, მოყავთ არჩ. ჯორჯაძის შარშანდელი წერილები-
დან ამონაწერები (№ 1829), მაგრამ ეს მოწმე მეტათ სახიფა-
თო მოწმეა, რადგან მას ბევრი სხვა-და-სხვა აზრი აქვს
გამოთქმული თვით ამ კითხვის შესახებაც, და ამიტომ ამას არ
გამოვუღებთ; ჩვენ ვიცით რომ „ფურცელი“ ასე იყო თუ ისე
შარშან ოპოზიციაში იდგა, წელს კი აღარ ვიცით საით არის,
და რა არის. ამისთანა გამოურკვეველ პოზიციაზე დგომა სრუ-
ლებით არ ეთანხმება „ფურცლის“ მიერ შეთვისებულ ორიგი-
ნალობას; რაც მეტათ სამწუხაროა, რადგან ასეთადამიანებთან
საქმის დაჭერა კერძო ცხოვრებაშიაც კი ძნელია, არა თუ სა-
ზოგადო და სამწერლო ასპარეზზე.

ნ. ელიაშვილი.

ო რ ი ს უ რ ა თ ი.

I.

...ვასოს სოფელში ყველას შეეტყო, თუ ვინ იყო დათ-
ხონილი უნივერსიტეტიდან, და რასაკვირველია, მისი ხვე-
დრიც მამა მისს კარს მიადგებოდა. ეს ასეც მოხდა. მან მი-
იღო ცოტა ხნის განმავლობაში სახლიდან ფრიად უნუგეშო
წერილი... „როდემდის გინდა ასე შენ ნებაზე იარო? სწორდა,
სხვათა შორის, მოხუცი ღვდელი ვასოს, — როდემდის გინდა
ასე მტანჯო და მაწვალო? ამდენი ხანია გასწავლე, გაგზარდე

და შენ ამ შავ ღვედის მიმიყვანე? იცოდე, აწი ჩემგან არა-
ფერს მოელოდეო!“ ამ სიტყვებმა ვასო ძლიერ დაალონა...
როგორ უნდა დაეჯერებია ხანში შესული ღვედ-მამა, რომ
მას ამით თავისს დანიშნულებისათვის არ უკლავტენია! რანა-
კვირველია, ვერ დააჯერებდა, და ვასოც პასუხს აგვიანებდა...
მხოლოდ თავისს თავს დალონებული ყოველ წამს ანგარიშს აძლე-
ვდა, ხოლმე „მე რომ მარტო ვიყო, — ამბობდა ის, — რაც უნდა
დამემართოს-დამენართოს! სადაც იქნება, ლუკმა პურს ვი-
შოვნი და ვიცხოვრებ ისე — გაქვირებულათ. მაგრამ ამ მშობ-
ლებს რა ვუყუ, როგორ ვუპატრონო, როცა მეც თვითონ
უპატრონო და ულუკმაპურო ვარ!“ ახ, ღმერთო ჩემო! რა-
ტომ ქვეყანაზე ობლათ არ დავრჩი, განა ეს არ მირჩვენო-
და! ადასჯერ ბედნიერია ის, ვინც ღვედ-მამისაგან თავისს უფა-
ლია!“ ოხვრათ წამოიძახებდა ხოლმე გაჯავრებული, მაგრამ
ამ უკანასკნელ სიტყვებთან აღეძრებოდა ხოლმე შვილობრივი
გრძნობა და აგონდებოდა თვისი წარსული, თვისი ბავშობა
და ყმაწვილობა, გაახანდებოდა ხოლმე ის წამები, როცა
მას, ჯერ იხვე პატარას, გარს ევლებოდენ, — მოაგონდებოდა ყვე-
ლა ეს და ამ მდკოპარეობაში თვალებზე ცხარე ცრემლები
მოადგებოდა...

დღე დღეს მისდევდა და მისი გაჭირვება თან და თან
უფრო ძლიერდებოდა. გათახსირებული ცხოვრება ბევრს რა-
მეს აფიქრებინებს ადამიანს და მართლაც, ვასოს ამგვარ
ცხოვრების ზეგავლენით აზრად გაურბინა „თხოვამ“, იმ წარ-
მოდგენამ, რომელიც ასე ეწინააღმდეგებოდა მისს თავმოყვა-
რეობას!... „უნდა ვითხოვო... ოხ, ღმერთო ჩემო! ამოიოხ-
რებდა ის, — რა ძნელი წარმოსადგენია ადამიანისათვის თხოვა?!
უნდა შეეხვეწო, დაუჩოქო, დაიმცრო ადამიანური პიროვნება,
გახდე მის მონათ, ხელ-შემყაყურებლათ... განა ეს ცხოვრებაა?
განა ამაში მდგომარეობს სიცოცხლის ძალა! არა! ეს ლაჩარის
საქმეა, რომელიც ყოველთვის ყველაფერზე თანახმაა ოღონდ
კი... მე ეს არ შემიძლია! მე პირადი გრძნობა მაქვს, რომელ-
საც ფეხ ქვეშ სხვას ვერ გაუფეხებ; მას მე არავის არ გავათე-
ლვინებ!.., მაგრამ... განა ისედაც დამცირებული არა ვარ?!
ცხოვრების სახსარს მოკლებულს, ერთი გროში გტანჯავს,
გაწუხებს“. აქ ვასო თავისს თავთან ბრძოლას შესწყვეტდა და
დაქანცული ლოგინზე დაეგდებოდა ხოლმე... ძნელი რამ არის
თავისს თავთან ბრძოლა, როცა შენ შენი გინდა და ცხოვრება კი
სხვასა გთხოვს, როცა შენ ეს გსურს, მაგრამ ცხოვრება ნელ-
ნელა კრიქას გიკრავს, თან და თან შეგაჩვევს, დაგათანხმებს...
და ამნაირ წამებში იყო ვასო, როცა ეს ცხოვრებას ნებას
დაჰყვა, უკანასკნელათ გაუფიქრა თხოვა და კიდევ გადაწ-
ყვიტა ვ — ისთვის მიემართა... დროც გამოიჩინა წასასვლე-
ლათ... ოჰ! რა და რა აზრი არ ურბოდა იმ დრომდე ვასოს?!...
ხან წარმოიდგენდა, ვითომ მისი თხოვნა შეიწყნარა „მან“,
წარმოიდგენდა ყველაფერს მას, რაც მას გულს უშიშვებდა და
სურვილს უშლიდა. ხან კი, პირიქით, თვალწინ დაესახებოდა
ხოლმე, ვითომ მისმა ხვეწნამ ტყვილა ჩაიარა და მაშინ ერთი წამი
დაიმედებისა შხამად გარდაექცეოდა... ამ სატანჯველ მოლო-
დინში, როცა ადამიანი ფანტაზიით ქმნის მომავლისსათს-
გვარ ფორმას, დადგა როგორც იყო დანიშნული დრო... თე-
რთმეტ საათზე ვ-თან უნდა წასულიყო ვასო. მას ადრე გა-
მოედგინა და შეუდგა „საკონსტოტო“ ტან-ჩაცმას, თუმცა ერ-
თი გახუნებული ტუქურკის და შარვლის მეტი არა გააჩნდა
რა... ამასობაში დაჰკრა თერთმეტის ნახევარმა — და მას გვა-
რიანათ შეაცხელა... თერთმეტის შესრულებაზე კინალამ შე-
აცივა და კიდევ გაემგზავრა... ვასო მიდიოდა ერთ უმთავრეს
ქალაქის ქუჩაზე... მიდიოდა თავისთვის, გულ-ჩათბრობილი
რადგან მხოლოდ ერთი აზრით იყო შეპყრობილი. რამდენმა ნაც-
ნობმა ჩაუარა მას გვერდით, მაგრამ ბევრი მათგანი არც კი

უმჩინეია... მიღოდა და თან სიცხე ემატებოდა. ორი—სამი წამი, და ის უკვე მისასვლელ კარებთან იდგა. იყო ისე გაჩერებული, ზარა არ ჩამოურეკნია. ვინმე მიმავალს ეკონებოდა, ვილატას უცდის ამ სახლიდანაო... ეინ იცის, კიდევ რაძდენი წამი იქნებოდა ასე გაჩერებული, რომ შიგნიდან ხმაურობა არ შევოსმოდა?! მას ეგონა, ვინმე გარეთ მოდისო და უცბათ ჩამოკრა ზარას. ამ დროს კიდევ კარი გაიღო და მის წინ გაჩნდა მეტათ ზრდილობიანი ლაქია.

— ბატონი ე-ინი შინ ბრძანდება? დაეკითხა ვასო ხმა-ჩაწყვეტივით, თითქოს მისგანაც რამეს ელოდა...

— კი ბატონო! შინ გახლავს...

— მოახსენეთ, რომ თქვენ სანახავათ ერთი სტუდენტი მოვიდა-თქო...

— სიჩას! სთქვა მოჭრით მან და ერთი თვალის დახამხამებაში ზედა სართულში მოექცა. ვასო კი იქვე იყო მოწიწებით გაჩერებული, ვით ცოდვილი ეკლესიის კარებთან... აქეთ-აქით იყურებოდა და თვალებით კედლებს ზომავდა. წადგა ფეხი წინ და ამდროს ლაქიაც უეცრათ გამოჩნდა. ვასო ერთი შეკრთა და მას ბრიყუულათ შეაჩერდა...

— მობრძანდით აქ! უთხრა ლაქიამ და წაიყვანა მისაღებ ოთახში. გაულო კარი და ვასო ფეხაკრეფით შევიდა შიგ... აპრიალეზულს და ასრიალეზულ იატაკს ფეხს ძლივს აკარებდა, გეგონებოდათ ღვთისნიერი მონაზონი ცალიერ ეკლესიაში სანთლის ასანთებათ მიდისო... და პართლაც, როგორ არ გაივლიდა მოწიწებით ასეთ ჰიდრულათ მოწყობილ სახლში! ვასომ მის ურიცხვ მოწყობილებაში გამონახა ერთი სკამი და ცოტათ გულ გამაგრებული დაჯდა. ის ათვალეირებდა ამ აუწერელ სიმდიდრეს და თანაც თავის თავი ეხატებოდა, რომელსაც არაფერი არ გააჩნდა და აქ... ამ სიმდიდრეში „სათხოვრათ“, მოსულა... ამ ფიქრში რომ არის, უცბათ მისი „მასპინძელიც“ გამოჩნდა. მის დანახვაზე ვასო ფიქვლავ წამოხტა, კრძალვით მივიდა და თავი გააცნო მას...

— დაბრძანდით, დაბრძანდით!... მიუთითა სკამზე ხელი ე-ნმა და თვითონ სტოლთან დინჯათ ჩამოჯდა...

— სულ ერთია, ნუ სწუხდებით! მიუგო ვასომ და, როგორც სცენაზე პირველათ გამოსული არტისტი, წადგა მის წინ სიტყვის სათქმელათ. მაგრამ ამ დროს კიდევ მოესმა „დაბრძანდითო“ და ისიც დაჯდა. დადგა წამი სიჩუმისა, ბუზის ფრენასაც გაიგონებდით. ვასო სულგანაბული იყო, გეგონებოდათ მთელი სხეულით უძრავათ რაღაცაზე მიკრული. ბოლოს, როგორც იყო, დაიწყო თავისი თხოვნა, მაგრამ ე-ნმა უნებურათ სიტყვა შეაწყვეტა.

— თქვენ რომელ უნივერსიტეტში ბრძანდებით?

— ხ-ის უნივერსიტეტში...

— რომელი ფაკულტეტი გაქვთ არჩეული?

— იურიდიული! მორცხვათ მიუგო ვასომ... აქ ე-ნმა თავი გააქნია და უნდა კიდევ დაკითხებოდა, მაგრამ ვასომ, რა კი სული მოითქვა, უცბათ შეუდგა თავის ისტორიის მოყოლას... ახლა ცოტა გამბედაობაც კი ეტყობოდა, თუმცა გუული უფრო მეტათ უტოკავდა...

— მე, ბატონო, ძლიერ ღარიბი ღედ-მამის შვილი ვარ! დაიწყო მან.—მამა ჩემი ერთი გაჭირვებული სოფლის მღვდელია. სიღარიბესთან მოხუცობაც შეეპარა... როცა სტუდენტათ წაველ, ვიმედოვნობდი დამეხმარებინ-მეთქი, მაგრამ ყურიც არვინ მათხოვა. სწავლის წყურვილის მოსაკლავათ კი არაფერს არ ვერიდებოდი: ბევრჯერ შიმშილი და სიცივე გამომიციდია... ეხლა, თუ შეიძლებაღეს... ცოტაოდენი შემწეობა... თქვენგან... და აქ კინალამ დაიბნა და შეჩერდა. შუბლზე ოფლი ასკდებოდა. ვინ იცის, რა იყო მისთვის ეს წამი? მთელი მისი სხეული, მთელი მისი სულის მოძრაობა

იქითკენ იყო მიმართული, თუ როგორ შეხვდებოდა მას ამ წამს ზედი. ე-ნი კი ისე ისუნდა მის ხეწწას, რომ მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით, და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ვასოს მდგომარეობას... „რითაც გინდათ, იმით მიმსახურეთ, ოღონდ“... ამოიღო კიდევ მან ხმა და უცბათ შესწყვიტა. ახლა ის თავის სახის გამომეტყველებით უფრო ეხვეწებოდა, ვიდრე სიტყვიერათ... ოჰ! რა ტანჯვით მოელოდა ის ე-ნას პირველ სიტყვას!

— რა ექნა, ღმერთმანი! სთქვა ე-ნმა და ამ ორსა სიტყვამ ელექტრონივით გაურბინა ვასოს ტანში. ბევრი შემწეობა აღმომაჩენია ღარიბ სტუდენტებისათვის,—განაგრძო მან,— ბევრი მიხსნია სიღარიბისაგან. ეხლაც, ღმერთმანი, გუული მეწვის, როცა თქვენ ასე უმწეოთ გხედავთ... მაგრამ, რა ექნა? ეს ორი-სამი თვეა ფულის კრიზისი დადგა თქვენდა საუბედუროთ და აბარანაირათ შეკეწიოთ?!... ვასოს ამ სიტყვებიდან ბევრი არაფერა გაუგონია. გაიგონა მხოლოდ უარი და მას შემდეგ იჯდა უძრავათ, ქანდაკებასავით და ისე შეეყურებდა თვის „მასპინძელს“...

— კარგი ბატონო! ცარიელი თანაგრძობისათვისაც მაღლობას მოგახსენებთ... რა გაეწყობა, როცა ყველგან გზა გადაღობილი მაქვს! ამბობდა მოწყენილი ვასო და შედარებით ამ სიტყვებში მეტი გამბედაობა ეტყობოდა, რადგან კარგათ გრძნობდა, რომ ის ამ წამიდან აღარ არის მასზე დამოკიდებული...

— ასეა, თუ არა... ხომ იცით, რომ მე არავისთვის არ მშურს არაფერი... დაუმატა ე-ნმა...

— მადლობელი ვარ თანაგრძობისათვის! კიდევ ვანიმეორა ვასომ და წამოდგა გამოსამხილდობელათ...

— რის მადლობა! მე რომ ვერაფერს დავგხმარეთ! თითქმის წყენით უთხრა ე-ნმა და ისიც წამოდგა... ვასო გამომეშვიდაბა მას. ე-ნი კი, თითქო აქ არაფერიაო, არხეინათ გავიდა მეორე ოთახში...

გამოვიდა ვასო. რაკი მოცილდა მას, ახლა მთლათ აღელდა. მას ეგონა, რომ ის ლაქიაც კი დასცინოდა, რომელმაც კარი გაულო და გამოსიტუმრა... მიდიოდა თავისთვის მაგრამ არ იცოდა, საით?... ეტლები ჩვეულებრივ მიქროლავდენ და შიგ მჯდომნი უზრუნველათ იტქიარებოდენ... ჩვეულებრივ მიდი-მოდიოდენ, ლაპარაკობდენ, ლაღობდენ... ვასოს კი ეგონა, ვითომ ყველა მასზე ბაახობს, ყველა მას დასცინის. ვინც კი გაიღიმებდა ხოლმე, ის მაშინვე თავის თავზე მიიღებდა და საშინლათ აზრიალებდა... ერთი სიტყვით, განდა თითოთ საჩვენებელი და თავის ქანში ძვრებოდა, რცხვენოდა ყველასი და ნაცნობებს ხომ მთლათ თვალს არიდებდა! მაგრამ ამ დროს დაინახა „ის“, რომელსაც, დიდი ხანი არ არის, რაც ეთაყვანება. მის დანახვამ ის იყო კინალამ იქვე წააქცია, მაგრამ უცბათ გადასახვევს მოკრა თვალი და იქით წავიდა, თითქო „ის“ სრულიათ არ შეემჩნიოს... ოჰ! რა ნაირათ იტანჯოდა ამ წამს იგი? მას თვალწინ დაესახა თავის თავი ბუზათ, რომელსაც „ის“, როცა უნდოდა მაშინ გასრესდა...სად გაქრა ის მედიდური გრძნობა, რომელითაც ის სიყვარულსაც აკმაყოფილებდა... გადაუხვია, მაგრამ აქაც-გულსაკლავ სურითს წააწყდა. დაკონკილი მათხოვარი დახვდა მას წინ და ღრეჯით ეხვეწებოდა, სთხოვდა. ვასო მწარე ღიმილით უყურებდა მას... ხა! ხა! ხა! ვილატას ხმა კიდევ ჩახარხარებდა ვასოს... ის მზათ იყო ეტირა, მაგრამ ცხოვრებისაგან გაბოროტებული და გაბრაზებული მარტო ტუჩებს იკვნეტდა, რომ ცრემლი არ დაეღვარა და სცდილოდა რამენაირათ ცხოვრებას სიყვარვისათვის თვალი აერიდებინა... მათხოვარი კი ისევ მოწყალეების მოლოდინე თვალთ შეეყურებდა მას...

II.

სალამო იყო. მზე კიდევ აწვდენდა უკანასკნელ სხივებს ქუჩუნა წვიმისაგან დასვლებულ არე-მარეს. დანაშული მიწა შრებოდა და თან მიდამოს გრილი ჰავა ეფინებოდა. იძროდა ცელქი ნიაფიც. ნელ-ნელ ათავაშებდა ახლათ გაფურჩქნულ მწვანე ფოთლებს და მათი საამური შრიალით ბუნებას გაღვიძებას ჩასჩურჩულებდა. ქროდა ნიაფი და აკრილებდა გახურებულ გულს. შეწყდებოდა წამობით და თან ამყარებდა სიჩუმეს, მყუდროობას!..

სალამო იყო... ისეთი სალამო, რომელიც ადამიანს აღუძრავს ხოლმე სურვილს მოცილდეს ქალაქის აღუღლებულ ცხოვრებას, მოშორდეს ყველას, განეცალკევოს საღაღ-შორს, მინდორ-ველათ, მიეცეს საკუთარ ფიქრს და მარტოთ მარტომ განიცადოს ცხოვრების საფ-კარგე!..

ვასო მთის კალთის საცალფეხო ბილიკზე დაღვრემილი მიდიოდა და როცა, ცხოვრებისგან შგწუხებული, ბილიკის მოსახვევში შეჩერდებოდა ხოლმე, გამოუთქმელი სევლით გადაყურებდა მიდამოს... მაგრამ მიდამო მის გულის-თქმას ვერ წვდებოდა. იგი სდუმდა, ხმას არა სცემდა... და ამ დუმილში ვასო გრძნობდა თავის თავს უამხანაგოთ, ყველასგან მოწყვეტილათ... იგი ვერსად ვერ პოვებდა დაკმაყოფილებას! ვერც მშვენიერი სალამო, ვერც მაღალი მთები, ვერც დაფენილი ველი, ვერც ერთი მას ვერ ამშვიდებდა. ნიაფი კი ისევ ქროდა, თითქო მას ეკითხებოდა: ნუ თუ აქ, ამ ბუნების სიმშვენიერეში ვერ უნდა მოისვენოს შენმა აღელვებულმა გულმაო? მაგრამ პასუხათ ვასოს გულის სიღრმიდან ისევ კვნესა, ისევ ოხვრა ისმოდა... ვასომ ერთიანათ შეცურა ფიქრთა-მორევში. და როცა ერთი ფიქრით იყო გართულ-გატაცებული, ამ დროს უეცრათ ვილაცხს ხმა მოესმა: ჰა, ვასო, ვასო! საითკენ ემაწვილო!.. ვასო უცბათ შეკრთა და თავი მალლა აწია. მიხედ-მოიხედა და თვის წინ დაინახა მხარ-თემოზე წამოწოლილი მოხუცი მწერალი, რომელიც აქამდე თავ-დავიწყებით გადაცქეროდა ქალაქის ახლო მდებარე ტბას. როგორც კი გამოიცილა მისი სახე, ვასო მაშინვე გახარებული მივიდა მასთან...

— სხვა, როგორა ხარ, ვასო! დაეკითხა მას პირ-მღიმარე მოხუცი და თან შუბლზე ხელი გადაისვა...

— ასე, გახლავარ გვარიანათ, ბატონო! ზუბასუხა ვასომ, რომელსაც, მაუხედავათ იმისა, რომ მოხუცის ნახვა ძლიერ გაეხარდა, დაღვრემილება მაინც ეტყობოდა. დაკვირვებულმა მწერალმა, რომელსაც ასევე უყვარდა ემაწვილობა, მაშინვე შეამჩნია მის სახეზე სევდა-ვარამი.

— რატომ ხარ, ვასო, აგრე დაღვრემილი? ხომ არაფერი გაწუხებს, ან ავათ ხომ არა ხარ? ეკითხებოდა მოხუცი, რომლის სიმპატიურ სახეზე ღრმა თანაგრძნობა გამოიხატა...

— დაღვრემილი!.. როგორ არ ვიქნები დაღვრემილი თანამედროვე ცხოვრების გამო? თქვა მან და მოწყენით თავი გადააქნია...

— როგორ! ნუ თუ აგრე მალე შეგაშინა ცხოვრების ტალღამ?

— შეშინებით კი არა, მაგრამ...

— რაღა მაგრამ.., ღიმილით ჩამოართვა სიტყვა მოხუცმა და თან დაუმატა: ნურა გეფიქრება რა, ჩემო კეთილო! გაივლის ტანჯვის წამები და მერე ბუნების წიაღი, ეს წარმტაცი სიმშვენიერე მოგასვენებს ცხოვრებისგან დაქანცულს!..

— ბარემ მეც მიინდა მოვისვენო აქ, მაგრამ ამოათ. ვებრძოლე სიღარიბეს, ვებრძოლე გაჭირვებას და ახლა ცოტა ხანს მაინც მიინდა აქ მოვიხვევებო, თავი დამევიწყა, მაგრამ სიმშვენიერე მწუხარებას როგორ განკურნავს! ვინც იტანჯება, მისთვის თვით ბუნების ჰარმონია სულ სხვანაირი ჩანს! ვასომ ლაპარაკი შეწყვიტა... მოხუცი კი გამოცდილი თვალით შეყურებდა მას და უღვავებ-ქვეშ აღერსიანათ იღიმებოდა... სი-

ჩუმე ჩამოვარდა...

ამ დროს მოულოდნელათ გაისმა მუსიკის ხმა იმ სახლიდან, რომელიც თითქო გამძვინვარებულ ქალაქს გამოქცევს მთის კალთას, ვით შვილი დედას, განმარტობის მხარე რდნობოდა... ჩუ! და კიდევ გაისმა მაღალი და გამბედავი ბარიტონი... ის გაიმღეროდა შორია-შორს, წვდებოდა უკანასკნელ სიმს კაცის სულისას, ატოვებდა მას და თან ყველას იზიდავდა ნეტარ თავ-დავიწყებისაკენ; მერე ისევ ნელდებოდა და შეუმჩნევლათ უერთდებოდა სიჩუმეს, მყუდროობას... ის დამღეროდა სიკოცხლის ძალას, აღურთოვანებას და გატაცებას! და ეს ხმა ამოდოდა ზვეთაც—იქ. სადაც მშვიდ გამომეტყველ სახის მოხუცთან ისევ დაღვრემილი იჯდა ვასო! ეს ჰარმონიულათ შეწყობილი ხმები უფრო აღელვებდა მის ისედაც აღელვებულ ბუნებას, გულის ძგერას თანდათან უძლიერებდა და მაჯის ცემას უმატებდა... შეწყდა მუსიკა და მასზე მომღერალიც, ცოტა ხნის შემდეგ ვასომ ისევ აღელვებით დაიწყო.

— რა ძლიერი მუსიკა იყო, რა მწყობრი ხმა და სიმღერა, აკრამ, მიუხედავათ ამისა, მე უკრა დავიშალე. არ ვიცი, ღმერთმანი, რა შემართება! შეიძლება, ავათ ვიყო, მაგრამ როგორ ხდება, რომ მუსიკა ყოველთვის ერთნაირათ მოქმედობს ჩემზე!

— როგორ? დაეკითხა მოხუცი.

— ხომ მიგიქცევიათ უნებურათ ყურადღება—დაიწყო ვასომ—როცა მყუდროობისას ნელ-ნელა წვეთავს და მწყობრივ წვეთი წვეთზე ეცემა და აღნება ქვას! აი, სწორეთ ისე მეწვეთება ხოლმე მუსიკის ხმები. მხედება, მაგრამ არა ისე, როგორც საღ ქვას... არა... ისინი წვდებიან აღელვებულ გულს... და აშინ ქრუანტელს გული მიძგერს, მაჯა აჩქარებით დაიწყებს ცემას და ამ წამებში ვგრძნობ თავდავიწყებას, ნეტარებას... მაგრამ, შეწყდება ხმები თუ არა, მაშინვე თვალწინ დამესახება ხოლმე ჩემი სიკოცხლის ამოძრავებელი ძაფი, რომელიც სასტიკ ცხოვრების ზეგაფლენით, მალეღვებს და მაშფოთებს... საკვარველი რამ არის მუსიკა! თვით სიკოცხლის ძალის აღმძვრელი ჰანგიც კი მალონებს მაშინ და ეხლაც ამას ვგრძნობ... გატაცებით ანობოდა ვასო და თან მთელი სხეული უკრთოდა.

— მართალია, მართალი! უთხრა მოხუცმა... ვინც ნამდვილათ ცოცხლობს, მას უსათუოთ აღეძრება მუსიკის ზეგაფლენით თავისი ცხოვრების უმთავრესი ტალღა, მოაგონდება წარსული და აწმყო... თუ გმირია ის, უსათუოთ აღელვდება და თავის თავს ბრძოლის ველზე წარმოიდგენს, სადაც მას სურს მტერზე თავდავიწყებული შურისძიება... თუ შეყვარებულია, მას აღეძრება სიყვარულის გრძნობა, რომელშიაც ეტარება—ექვიანობა ერთ-მეორეში გადადის... თუ მწუხარეა შენსავით, მასაც მწუხარებას აუძრავს... შენ იტანჯვა, მაგრამ ამასთანავე ნამდვილათ ცოცხლობ...

— როგორ? ცოტა გაკვირვებით დაეკითხა ვასო, როცა ეს ბოლო სიტყვები გაიგონა...

— როგორ და ნამდვილი სიკოცხლეს იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა სიკოცხლის უმაღლესი წამები გამოკადოს, იგრძნოს ნეტარებაც და ტანჯვა-ვაებაც!..

— ევ ხომ ყოველ ცოცხალ არსებას შეუძლია?

— სრულიათაც არა!.. ცოცხალი არსებაც არის და ცოცხალი არსებაც! არიან ისეთი ცოცხალი არსებანიც, რომელნიც, მართალია სიხარულსაც გრძნობენ და მწუხარებასაც, მაგრამ უმაღლეს წერტილამდე კი ვერც ერთს. მათთვის თითქმის ყველაფერი ერთნაირია. გაუცინე მათ—და ისინი გაიხარებენ, თითქო ღიღ ნეტარებას გრძნობდენ! შეტირე მათ—და ისინიც აცრემლდებიან, თუმცა, იქნება, სატირალს სულაც არ გრძნობდენ!.. ცხოვრება რომ გაიგო, ამისათვის საჭიროა

თვით ცხოვრება: ნამდვილ უნდა გრძნობდე მის ტალღებს და რითმის ტრიალს, და ამაში, თუ გინდ ბევრიც იბრძოლო, სულით არ უნდა დაეცე, — ეს ლაჩარის და სუსტის საქმეა... და თუ ამნაირათ გამოცდი ყველაფერს, მაშინ თვით ბედნიერება და უბედურობა, ნეტარება და მწუხარება ერთი-მეორეში ჩაიქსოვებიან და ამ სხვა-და-სხვაობაში იგრძნობ მაღალ წამს, სულ სხვანაირ კილოს სიცოცხლისას!.. ასე გატაცებით ამბობდა მოხუცი მწერალი, თითქო ახლა იყოს იგი მღვღინავე ახალგაზრდა; ეტყობოდა ბევრი რამ გამოეცადა ცხოვრებაში და კიდევ მიტომ მიუხედა ვასოს გულის-თქმას. ეს უკანასკნელი კი დაღვრემილი უყურებდა თვის მოსაუბრეს და ყოველ მის სიტყვაზე სახე თანდათან იმედით ეშლებოდა...

კიდევ შეღამდა... მტრედისფერ ცაზე მორცხვით ამოვიდა ლამის მნათობი და თავის მკრთალ ნათელს ტბას ზედ აფენდა... მიცურავდა იგი მოკაშკაშე ცაზე და ხანდისხან, როგორც მორცხვი ახალგაზრდა ქალი, იძალგებოდა აქა-იქ გაფანტულ, ბამბასავით გაბნეტილ ღრუბლებში. და მთელი ეს მშვენიერი სურათი იმ ტბაში იხატებოდა, როგორც დიად სარკეში...

— შესანიშნავი რამ არის ტბა! დაიწყო მოხუცმა. ვახივდე. როგორ თავისუფლათ და ამაყათ ქმინავს იგი?! რომელი მხატვარი ვადმიიდებს უბრალო ტილოზე მის ათასფეროვნებას, ან და რომელი მამღერალი — მუსიკაზე მის ხმაურობას? წყნარია ისე, ვით დედა-მტრედი, რომელიც თავისთვის ლუღუნობს. ხალისიანია ის, როგორც ახლათ გამოღვიძებული ბავში. მისი ტალღების თამაში, ერთი-მეორეში სროლა-ტრიალი გულში გიძვრება და გვალერსება, როგორც შეყვარებული ახალგაზრდა ქალი. არაფერი არ ჯობს მაშინ მახე ნავით სეირნობას!.. წარმოიდგინე, მიცურავს ნავი — და შენც გრძნობ სიცოცხლის ძალას, ნეტარებას... ამგვარია ცხოვრებაც! არის ისეთი წამი, როცა სიცოცხლე ძალზე გიყვარს და გსურს თავგანწირულათ, გატაცებით იცხოვრო...

ამ დროს უტბათ ტბა შეინძრა და საოცრათ ახმაურდა... მორბის, როგორც ისარი, აგორებული ტალღა, მოქმუის, რომ ყველაფერი ერთიანათ დაანარცხოს!.. მოქუხს და თან მოაწყდა მეორეც... ტალღა ტალღას შეასკდა და აფეთქილი ზვირთი სხარტულით ავარდა ზევით, ერთი აღმაცერათ შემოტრიალდა და მთვარის შუქზე ვერცხლის ფერათ გამოანათა, დაენარცხა შხაპუნით მის ზედაპირს და უტბათ შთაინთქა მის სივრცეში... ერთი წამი სიჩუმისა, თითქო მან გული დაიმშვიდაო... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ახმაურდა... მოქმუის უფრო მძლავრი ტალღა, მოგორავს ზვირთი-ზვირთზე, და თითქო მისი მოსისხლე მტერიო, მრისხანეთ მოსკდა კლდის ნაპრალს... ერთი დიდი ხმაურობა, გრგვინვასავით ქექა-ქუხილი და გულგაბობილი ტალღა ისევ ჩაინთქა ტბის უფსკრულში...

— ტბა მკაცრიცაა და მრისხანეთ, ვით დაქრილი ვეფხვი! წამოიძახა ამ დროს მოხუცმა... ის უღმო და პირ-მოქმუულია. მას ერთ წამსაც ვერაფერ დაენდობა, რადგან ხშირათ მას საუკუნო შხამათ აქცევს. აი, ხედავ თითქმის მთელი უფსკრული შეინძრა და უნდა ყველაფერი დაანარცხოს, მტრათ აქციოს... ახლა მასში ყველა ძრწის, თავის ტანში იძალგება, თავბრუ ესხმება... ამბობდა მოხუცი...

გალაღებულნი ფრინველნი კი ამ დროს მდელიურათ თავს დატრიალებდენ ამღვღინარებულ ტბას და მის ქექა-ქუხილივით ხმაურობას აინუშმიაც არ იგდებდენ... ვასო გატაცებით უყურებდა მათ და თვალწინ ეხატებოდა ცხოვრების ორომტიალი...

— უყურე ტბას! უთხრა მოხუცმა... ამგვარია ცხოვრებაც... განა მას ადამიანი სამუდამოთ დაენდობა! ცხოვრებაში

ადამიანი ზოგჯერ კადეც ხარობს და ნეტარობს... მაშინ მან „მე“ მალა-მალა აიწვეს და არც კი ახსოვს იმ უკანა თუ კიდევ ვინმე სხვაც ხარობს!.. მაგრამ დრო მას სხვა რაღაცეც ცვლის. და ადამიანს თავისი „მე“ უბრალოდ მღვღინავე დაესახება, რომელსაც ცხოვრება ყოველ წამს უქადის გაქრობას, გასრესას, გაქყლევას, მიწასთან გასწორებას... მაგრამ ადამიანი ყოველთვის უნდა ებრძოლოს მას არ მოკვდეს კიოთ, ლაჩრათ და არ გაუზდეს ფესტეშალათ ცხოვრების ტირიალს... შესწყდა მოხუცის ლაპარაკი.. ტბა კიდევ ხმაურობდა და ყოველისმხრივ მიისწრაფოდა; მას არ უნდოდა განსაზღვრული ფარგალი. ის იქით იწეოდა, საითკენაც მოეჭურვებოდა. ტალღას ტალღაზე აგორებდა, თავისუფლათ ქმინავდა და იბრძოდა... მოხუცი სიყვარულით დასცქეროდა ვასოს, რომელიც ეხლა ფიქრათ დატრიალებდა გაშმაგებულ ზღვას დას რომელსაც თავისი გულის-თქმა მის აბოზოქრებულ ტალღებში ჩაერთო...

ს ა ს ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

ინგლისი. ინგლისის მთავრობამ აღარ იცის, როგორი ქება ეახსნს თვის ახლანაჲსი პოლიტიკა და აუწყავს რესპუბლიკებს. პირველათ ბურების უქვეშევრდომი ღეს გრძნობებზე კიტხენერმა დაწყო ლაპარაკი, ახლა კი თვით მინისტრებმაც. მათ ვერ უბოთათ საკმაო სიტყვები იმ ბურების საქებათ, რამქნაღ დაღა ხამი არ არის მას შემდეგ, რაც მათი მტრები იყვენ. ეველა ეს გვაღეგს საბუთს ვიფიქროთ, რომ ეღუარ VII-ის გვირგვინის კურთშევას მოეყება კახის ახალშენთა ინსურგენტების ამნისტია და ბურების უოფილ რესპუბლიკებსაც მიეცემა უფრო მეტი ავტონომია. ეს წმეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე მისდება მით უმეტეს, რომ მინისტრის განცხადებით მალე გაიწვევენ რესპუბლიკებში ჩაყენებულ ჯარს, სრადგანაც ბურები არ ადღევენ მშვიდობიანობას. ინგლისის მთავრობა უფელთვის რწმუნებით უუფრება თვის კოლონიებს, და რამდენათაც მეტ თავისუფლებას და თვითმართველობას ანიჭება, იმდენათ უფრო მტკიცდება კოლონიების კავშირი მეტროპოლიასთან.

ამიტომ თუ ბურებმა თვისი მშვიდობიანი მოქმედებით დაიმსახურეს ინგლისის მთავრობის რწმენა, მათი ნაციონალურა და ზოლიტიკური უფლებანიც სავსებით იქნებიან დაცულნი.

ისპანია. ამ უკანასკნელ წლებში ისპანიაში მეტათ გამწვავდა ბრძოლა კლერიკალიზმის წინააღმდეგ. მკითხველებს ესხმებათ, რა ვაი-ვავლასი გამოიწვია ერთი დრამის თამაშობამ ისპანიის სტენებზე. დრამის ქება „ელექტრა“ და ქება იესუიტების სრაგებს და გაძვერამბას, რომელთაც ცინიკური სიადგილით სმარობენ ივინი თავისი მიზნის მისაღწევათ, ზოლიტიკურიო იგი თუ კერძო. წარსული წლის ადელეგობა ისპანიაში, მეტადრე ბარცელონაში, სადაც ჯარმა ასობით გაწეიბა ადელეგებულ მუშა ხალხს, ერთი მხრივ მაშართული იყო იმ აუტანელი მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელიც კლერიკალიზმმა შექმნა. მოძრაობა მთელ ისპანიას მოედო და კინაღამ რევოლუციამ იფეთქა. როდესაც სოფრანგეთში გამოცხადდა ახალი კანონი სუსულიერო კონგრეგაციების შესახებ, ბურმა ამათვანმა არ ისურვა თავისი სამშობლოს კანონს დამოწმებოდა. მათ დატოვეს სოფრანგეთი და სხვათა შორის ისპანიაშიაც გადასახლდენ, მაგრამ რამდენსამე შემთხვევაში ხალხი ისე წინააღმდეგი იყო, რომ ბურები იმულებულნი შეიქნენ სხვაგან წასულიყვენ. ახლა მადრიდელო კარქსმონდენტი „ბერლინელ ტაგბლაც“-ისა იუწეება, რომ კანადეიასი, მინისტრათ ნამოფი, კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეთ გამოდის. როდესაც იგი ვაღენისაში მოვიდა, ანტიკლერიკალურ დემონსტრაციას 13,000 კაცი დაესწრო. ინცინდენტო არა მომდარა-რა, თუმცა, როგორც ეტეობა ზოლიციის მომზადებას, უქე

სოკობას შაშა ქანათ. ამას წინათ კანაღისმა ალიანტოში წარმო-
თქვა კლერიკალის წინააღმდეგ მეტათ ცხარე სიტყვა, რომელ-
მაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სმა დადის, რომ შთაგრება მე-
ტათ შემოფოთებულია ამ მოძრაობის გავრცელებით. რესპუბლიკის
მომხრები აცხადებენ, რომ თუნდ ცეცხლსა და წყალში მივუვებით
კანაღისას რეაქციას წინააღმდეგ ბრძოლაშია.

რუსეთის ცხოვრება.

სსოფლო-სამეურნეო ცოდნათა კასვრცელებლათ მიწათ-მოქმე-
დების სამინისტრო წელს სსხლხო სკოლების მასწავლებელ ქალთა
და კაცთათვის კურსებს მართავს 32 ადგილას. თითო კურსი 1 1/2
თვეს გასტანს.

— საურაღდეზო სტატისტიკურ ცნობებს გადმოგვცემს ერთი
რუსული კაზეთი რუსეთის სმდედლეობისა, ბერ-მონაზვნებისა და
ეკლესია-მონასტრების შესახებ. მოყვანილია ცნობები 1825 და 1898
წლებისა. სმდედლეობის რიცხვი 1825 წელს უოფილა
111,000, ხოლო 1898 წელს—103,000. სმდედლეობის
რიცხვმა იკლო, სმაკიეროთ იმატა ბერ-მონაზვნთა რიცხვმა. აი და-
წვრილებით ცნობათა ცხრილიც:

	1825 წ.	1898 წ.
დეკანოზი იყო	965	2,026
მღვდელი „	32,672	42,676
მთავარ-დიაკონი	14,047	14,361
მედავითნე „	63,416	43,619
ეკლესია „	25,131	37,279
ბერი „	3,727	8,084
მონაზონი „	2,015	6,988
მონაზონი ქ. „	1,882	9,216
მამათ მონასტერი	377	497
დედათა მონასტერი	99	289

1825 წელს რუსეთში მართლ-მადიდებელი ქრისტიანი იყო
34 1/2 მილიონი სული, ხოლო 1898 წელს—80 მილიონი.

— „ზრავიტელსტენ. ვესტნიკი“ დაბეჭდილია უმაღლესი რეს-
კრიბტი სკოლა განათლების სამინისტროს მართკელის ზენგერის
მიმართ: „გრიგოლ ედუარდის ძეგ! დაგნიშნეთ რა სკოლა განათ-
ლების სამინისტროს მართკელათ, სხვა მძიმე მოვალეობათა შორის
დაგვაღეთ თქვენ შემომუშათ და წარმომადგინოთ სსხელმწიფო სს-
ბტოს სსშავლებით სსშავლო და უმაღლესის სსწავლებლების შეც-
ვლის ზრავიტე. თქვენ ამ მონდობილების ასრულების დროს შე-
გიძლიათ ისარკებლოთ ზოგიერთ იმ ზრავიტებით სსშავლო სკო-
ლების შესახებ, რომლებიც თქვენ წინა მოადგიეებს შემომუშა-
ვებით და მე მომიწონებია. ამას გარდა მე სსჭირთ მიმხნია მო-
გვით სსხელმძღვანელოთ რამდენიმე შენიშვნა. უწინარეს ეოგლისა
ჩემი თხოვნა განათლებისთან ერთათ ემწვიდო-თაობას შთაგნერგოს
სიკვარული და ერთკულება სსწმუნებებისა, სსმეო ტანტისა და
სსშობდოსი. ფიზიკურმა აღზრდამ მოზარდი თაობა უნდა შესხვიოს
ემწვიდობიდანვე წესიერებას და დისციპლინას. სკოლა, სსადანაც
ემწვიდებო მხოლოთ სწავლას იძენენ და არა აქვთ შეთვისსორცე-
ბული სულიერი და ზნეობრავი აღზრდა, არა აქვთ შეთვისებული
დისციპლინა და უფროსის პატივისცემა,—არამც თუ სსსარკებლო,
სშირათ მანებულია, რადგან ავრცელებს ეოგელ სსქმისათვის მანე
თვითნებობას და გაზავადებულ აზრს თავის თავზე. ამისათვის სს-
ჭირთა დაუურნებლო იზრუნოთ, რომ სსტანტო და სსკუბრნიო
ქალქებში სსშავლო სსწავლებლებთან დაარსოთ აღსაზრდელი ზან-
სიონებო, რომელშიაც მიღებულ უნდა იქნას რჩეოთ სსუკეთესო ემა-
წვიდებო და ამასთან არ უნდა მიაკარონ ამათ ისეთი ზინი, რე-
მელნიც მოუმზადებლნი არიან ჩემ მიერ ნახევენ აზრის განსა-
ხორციელებლათ. ამასთანავე მე სსჭირთ მიმხნია შემომუშავდეს ზრე-


ექტი შესახებ აღმზრდელთა და მასწავლებლთა მატერიალურ მდგო-
მარეობას გასუმჯობესებლათ. რაც შეეხება სკოლებს, მოწოდოს,
მე მსურს, რომ იქონი სამი სსხის სკოლა, რომელიც სსწავლო
დამთავრებული უნდა იქნას, და სსშავლო სსწავლებელი უნივერსი-
ტეტში შესსკვლელათ სსჭირთ მოსამზადებელი კურსებით. უნივერ-
სიტეტების შესახებ კი, შემდეგ გავლილ წლების სსმწუნარო მა-
გალითისა, მე სსმოსწავლო აღმინისტრაციისაგან და ზრავისორე-
ბისაგან ველი, რომ კულოთად და წინდახედულ მონაწილეობას
მიიღებენ მათ მზრუნველობის ქვეშე მეოფე სსაღკაზდობის სსკეთილ
დლოთ.

უნდა ახსოვდეთ, რომ ეოგელ სსკვო შემთხვევაში, ეოგელ
ბრძოლისა და გატაცების დროს სსაღ-კაზდობას ნება აქვს მიმარ-
თოს თავის ხელმძღვანელოთ, შეიძინოს გამოცდილება, ზომიერება-
რწმუნისა და შეტებისა და აიშოროს ის წუთიერი მოუფიქრებელი
გატაცება, რომელზედაც ზოგჯერ მთელი სიცოცხლეა დამოკიდე-
ბული. ჩემმა მშობლიურმა კულმა გაიხარა, რაცა შევიტყვე, რომ
თვალსაჩინო რიცხვი სტუდენტებისა ამ სსმოსწავლო წლის დასა-
სრულს თავის მოვალეობათა შეტებით თვითონვე დაუბრუნდენ სსმო-
სწავლო მეტადინობასა და წესიერებას. მე მსურს მრწამდეს, რომ
ზათხულზე მოსვენებისა და დამშვიდებულ სინადისის მხილების
შემდეგ, აგრეთვე მშობელთა და მსლბელთა კეთილ გავლენის
ქვეშე, მოსწავლე სსაღ-კაზდობა ურად იღებს ჩემს ხმას, რომელიც
ეველა ჩემ ერთკულ ქვეშევრდომებთან ერთათ იწვევს მას შრამის
და სსმართლიანობისათვის სსმუშათ. უწესობა, რომელმაც შეტა-
ლა მეტნიერება და უნივერსიტეტი, რომლითაც უწინდელ დროში
სსმართლიანათ ამოებდა რუსეთი, რომელმაც დაღუბა სსშობდოსსა
და ჩემის კულისათვის ამდენ ძვირფას სსაღ-კაზრდათა სიცოცხლე,
ღვთის მიერ ჩემდა რწმუნებულ ხლხის სსკეთილ დლოთ დაბო-
ლოებულ უნდა იქნეს“.

სამდვილზე მისი იმპერატორებითის სსკუთარის ხელით აწე-
რა „ნიკოლოზი“.

„ცნობის ფურცელი“.

კერძო კაციისაგან ლანძღვა-გინებას, სრულიად უსაბუთოდ
რომ იყოს იგი, შეიძლება ყურადღება არ მიამკციოს ადამიანმა.
ის, ვინც ცარიელი უშვერა სიტყვებით სხვის შეურაცხყოფას
არ ერიდება, მხოლოთ თავის თავს იშოლტავს, სხვა შე-
დგვი მის ქცევას არ ექნება. მაგრამ, როდესაც გაზეთი, რომ
მლის დანიშნულება საზოგადოების ხელმძღვანელობა უნდა
იყოს, საფუძვლიანი პასუხის მაგიერ, მოწინააღმდეგისაკენ უწ-
მაწური სიტყვების გროვას ისვრის და ამით ცდილობს ფონს
გასვლას—ეს კი მეტათ მანებელია, ეს ბეჭდვითი სიტყვის შე-
ურაცხყოფაა; ამ მოვლენის გამომქვანება და სასტიკათ და-
გმობა აუცილებლოთ საჭიროა. ჩვენ იძულებული ვართ ერ-
თხელ კიდევ შევეხოთ „ცნობის ფურცლის რივიანობას“:
„ფურცელს“, რასაკვირველია, ყოველთვის ეტყობოდა „თა-
ვისებური“ ზნე, მაგრამ ამ ბოლო დროს, განსაკუთრებულ
პირობათა წყალობით, იმდენათ განვითარდა ეს „თავისებუ-
რობა“ გაზეთისა, რომ ამ მხრივ მან ჩვენ მოლოდინსაც კი
გადააქარბა... მოგეხსენებათ, „ივერია“ — „ცნობის ფურცელში“
მძიმე ბრალდება მოახვიეს თავზე „წ. კ. საზოგადოების“ ზო-
გიერთ წევრებს; მათ „საზოგადოების“ სიკეთე არა აქვთ სა-
ხეში, რალაცა სხვა ანგარიშებით ხელმძღვანელობენო. რალა
თქმა უნდა, გაზეთები ვალდებულნი იყენენ საბუთებით გაე-
მართლებიათ ასეთი დასკვნა, მაგრამ სად იყო საბუთი? ამის
გამო მე ვთქვი: („კვალი № 23) რივი არ არის უსათუოთ
კული განზრახვა დაწამოთ კაცს მხოლოთ იმიტომ, რომ მის
აზრს არ ეთანხმებით, ასეთი სიტყვილი ცილის წამებას და
ქორს გავს მეთქი. „ცნ. ფ-ში“ (№ 1829) დაისტამბა ამის
„პასუხი“. იძულებული ვართ ამოვიწერო ერთი ადგილი ან



ლირს შესანიშნავ „პასუხისა“: „როცა ჩვენ ოპოზიციის მოქმედებას კრიტიკის თვლით შევხედეთ, ამას მოითხოვდა სიმაართლე და თვით ოპოზიციის ინტერესი, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ სიმაართლეს გამგონი უნდა და თვის ინტერესების შეგნებას მომზადება და არც ერთი და არც მეორე „კვალის“ რედაქციაში არ მოიპოვება. ვალაც უცნობის ავადმყოფ ფანტაზიას თუ დაუჯერეთ, ჩვენ მათ ცილს ვწამებთ, ვაბეზღებთ, სინდისისა და ლოლიკის წინააღმდეგ ვმსჯელობთ. ავადმყოფ გამოხატულებას პატრონს ბევრი არა მოეთხოვება რა და ამიტომ მას „პოლიემიკაზე“ არას ვიტყვი“. ეს არას „პასუხი“. ხომ ხედავთ, რა შეუღარებელი დელირიანდი ბძანებულა „ც. ფ-ს“ თანამშრომელი! ვაი, სულო!... მაგრამ ერთი ვიკითხოთ, საიდან გამოიყვანა ამ ზრდილობიანმა ვაჟბატონმა ის „ლოლიკური“ დასკვნა, რომ მე „ავადმყოფ ფანტაზიის“, „ავადმყოფ გამოხატულების“ მექანი ვარ? თუ ჩემი წერილი იძლევა ამის საბუთს, რატომ არ დაანახვა ეს მკითხველს, რატომ არ მოიყვანა ამის დამამტკიცებელი საბუთი? ან იქნება მკითხველმა უამისოთაც უნდა დაუჯეროს „ც. ფ-ს“ თანამშრომლის „სად“ ფანტაზიას, რომ მე „ავადმყოფ ფანტაზიის პატრონი“ ვარ, რადგან ვამბობ, რომ უსაბუთოთ აღამიანის წყურაცხყოფა დასაგმობია? მარა საბუთი ხომ მეტი ბარგია „ცნობის ფურცლისათვის“, იგი უსაბუთოთაც იოლათ მიდის და კიდევ ამიტომ გამოაცხადა, რომ კრებაზე ოპოზიცია ურიგოთ იქცეოდა, თუმცა ასეთი განცხადება ყოველ საფუძველს და ნიადაგს მოკლებული იყო. მე რა აღვილი ყოფილა თურმე „ფურცლისებურათ“ მოპირდაპირის გამტყუნება! ამისთვის საკმაოა გამოაცხადოთ, რომ ამ რედაქციაში, რომელმაც თქვენი საწინააღმდეგო წერილი დაბეჭდა, არ მოიპოვება არც სიმაართლე და არც მომზადება, რომ თქვენი მოკამათე „ავადმყოფ ფანტაზიის“ მექანია, რომ მას, თქვენს მოპირდაპირეს, როგორც „ავადმყოფ გამოხატულების პატრონი“, არაფერი დაეჯერება და ამიტომ თქვენც არა გასურთ მასთან ლაპარაკი; თუ ასე მოიქცევით, მორჩა, გათავდა, მოწინააღმდეგე გაქაწყლებულია; არც საბუთი გინდათ, არც ერთი, არც მეორე...“

ამისთანა სამარცხვინო და სათაკილო ხერხის ხმარება მარტო „ცნობის ფურცელი“ თუ შეუქრება. ასეთი „სასახელო“ ქცევა გაზეთისა მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს მისი სრული უძღურების მომასწავებელია...

რაც შეეხება იმას, ვითომც ოპოზიციის მოქმედება საძრახისი ყოფილიყოს, ვითომც „გამგეობის წინააღმდეგ მხოლოდ იმითომ ლაპარაკობდნენ, რომ იგი გამგეობაა“, ასეთი ყოველათ უსაფუძვლო განცხადება სწორეთ ღრმა ზიზღის ღირსია. წარსულ კრებაზე დამტკიცეს, რომ გამგეობის დაუდევრობით „საზოგადოებას“ ზარალი მოსდის (ფოტოგრაფია და სხვ.), რომ ეს გამგეობა უყურადღებოთ ტოვებს სკოლებს, არ ახდენს რევიზიას, როდესაც ამისი საშვალდება აქვს, განაცხადეს: მასწავლებლის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, უსამართლოთ დასჯილ და შეურაცხყოფილ მასწავლებელს საშვალდება მიეცეს თავა იმართლიას საზოგადოების წინაშე. უფარვისათ აღიარეს გამგეობის მიერ კავკაისის სკოლაში შემოღებული მართვა-გამგეობის წესი და აუცილებელ საქიროებათ იცნეს და ითხოვეს, რომ სკოლას განაგებდეს ერთ-ერთი მისი მასწავლებელი და არა გარეშე პირი, რომელსაც სკოლასთან კავშირი არა აქვს. აი, ამ კითხვების წაპოყენება „ც. ფ-ს“ „აზრით“ იყო თურმე „ლაპარაკი გამგეობის წინააღმდეგ მხოლოდ იმითომ, რომ იგი გამგეობაა“. ასე მსჯელობს გაზეთი და მერე წყინს, როდესაც მის სიყალბეს გამოაქვლანებენ. „კრიტიკის თვლით შევხედეთ“ ოპოზიციის მოქმედებასო; კარგი კრიტიკაა, თქვენმა მხემ!

გაზეთმა სრულიათ უსაბუთოთ თავს მოახვია ზოგიერთ წევრებს გასაკიცხი განზრახვა, ე. ი. ცილი დაწამა მათ; ნუ თუ ეს იყო „კრიტიკის თვლით შევხედვა“, ნუ თუ ამას მოითხოვდა „სიმაართლე“ ან ვისიმე „ინტერესი“. არა, ისევ „ფურცლისთვის“ დაგვილოცნია ასეთი „კრიტიკა“, ღმერთმა მოახმაროს...

შემდეგ ამ გაზეთის თანამშრომელი ბრძანებს ერთი წინადადების შესახებ, ჩვენ იგი არსებითათ არ შეგვიცვლიაო; დასამტკიცებლათ მოყავს პარალელური ადგილები „ც. ფ-დან“ და „კვალიდან“ და ბოლოს დაძენს: „ყოველი მიუდგომელი მკითხველი დაინახავს მოყვანილ ადგილებიდან, რომ „ც. ფ-ს“ არსებითათ არავითარი ცვლილება არ შეუტანია ამ წინადადებაშიო“. არ ვიცი, ისევ „ც. ფ-ს“ რედაქციაში თუ ამოჩნდება ისეთი „მიუდგომელი მკითხველი“, რომელმაც აქ „არსებითი განსხვავება“ ვერ შენიშნოს, თვარა სხვაგან ვერსათ იპოვიოთ. თითონ წერილის ავტორიც კი გრძნობს, რომ სულ ერთი არაა მასწავლებელზე იქნება დამოკიდებული მისი საქმის მოხსენება წლიურ კრებაზე (როგორც ამას წინადადება თხოულობს), თუ არა და თავის გასამართლებლათ გვეკითხება: „რომელი დათხოვნილი მასწავლებელი არ მოისურვებს თავის გამარჯლებასო?“ ახარებული კითხვაა სწორეთ! რომ მოისურვებს, მერე საკმაო კია ამ შემთხვევაში მარტო სურვილი? განა სადაც სურვილია, იქ უსათუოთ ამ სურვილის შესრულების იმედაც იქნება? შეიძლება თავის გამართლება ძალიანაც სურდეს მასწავლებელს, მაკრამ თუ მას საბუთი არა აქვს, თუ მისი სიმაართლე ცხადი არ არის, იგი არ მიმართავს კრებას, მოერიდება თავის საქმესე საქვეყნოთ ლაპარაკს. ერთი სიტყვით ასე მოიქცევა დიდი უპრავლესობა იმ მასწავლებელთა, რომლების დათხოვნის მიზნით რაიმე სერიოზული საბუთი იქნება.

„უცნობი აბღა-უბღას იმეორებს საზოგადო კრების უფლებახეო“, რიხიანათ გვიკვირებს სახელოვანი გაზეთი: „მის ვერ გაუგია, რომ საზოგადო კრება ინსტანცია არ არის და ამიტომ ვერც მიითვისებს სასამართლოს ფუნქციებსო“. რასაკვირველია, აქაც გაზეთი თავისებურ ხერხს ხმარობს, რომ მოწინააღმდეგის სიტყვას სულ სხვა აზრად ელფერი მიეცეს. ვინ მოგახსენათ, კრებამ სასამართლოს ფუნქციები მიითვისოსო? „ც. ფ.“ ამტკიცებდა, მასწავლებელს რომ კრებაზე თავის გამართლების უფლება მიეცეს—ეს გასამართლება იქნება გამგეობისო, ამით ის ბრალდებული გამოდის, მასწავლებელი კი ბრალმდებელიო. ჩვენ გიპასუხეთ, რომ აქ არავითარ „ბრალდებას“ და „გასამართლებას“ ადგილი არა აქვსთქვა; დასამტკიცებლათ შევადარეოთ გამგეობა სასამართლოს და ვთქვიოთ, შეიძლება მისი განაჩენიც დაარღვიონ, მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებს მის „გასამართლებას“. კრება მოისმენს მასწავლებლას შესახებ გამგეობას მახსენებას და თუ რაიმე შეცდომა აღმოჩნდება საქმეში, ამას აღნიშნავს. ნუ თუ ეს იქნება „სასამართლოს უფლების მითვისება“? მაშინ ხომ გამგეობის ანგარიშის ან რომელიმე წინადადების განხილვაც ზომ ამ „უფლებას“ მითვისება გამოდის. სასამართლოს მიერ გამართლებულ კაცს ყოველი უფლება უბრუნდება და განა ისა ვთქვიოთ ჩვენ, რომ გამართლებული მასწავლებელი წინანდელ ალაგზე დარჩისო? ჩვენ მხოლოდ ვამბობდით, მასწავლებელს საშვალდება მიეცეს დაანახვოს საზოგადოებას თავისი სიმაართლე და ამ სახით გამგეობის მიერ შეურაცხყოფილმა აღამიანმა აღადგინოს თავისი პატიოსანი სახელი, რომ ქვეყანა ექვის თვლით არ უყურებდეს მას. ეს მაშინ შეიძლება, როდესაც საზოგადოება თვითონ გარცობს მასწავლებლის მოქმედებას; ამისთვის კი საჭიროა საქმის გამოაშკარავება. ერთი ბძანოს „ც. ფ-მა“, რომელი კანონი უკრძალავს საზოგადოებას თავისი აზრი შეადგინოს აღამიანზე?

მას ეძახის გაზეთი „სასამართლოს ფუნქციების“ მითვისებას! ზოგიერთები ფიქრობენ, მასწავლებელი გამგეობასაც რომ გასცილდეს, მაინც ვერ აღადგენს თავის სიმართლესო. ტყუილი შიშია. თუნდა კრებაც (ე. ი. უმრავლესობა) შეეცდარ აზრს დადგეს, საზოგადოება, კრების გარეშე მყოფი საზოგადოება ხომ მაინც შესძლებს პირუთენელი მსჯავრის დადგას. ამ მსჯავრს ვერაინ წაუვა და ეს გარეშობა თვით გამგეობასაც გაათრთხილებს...

ამით ვათავებთ „უ. ფურცელთან“ კამათს. კიდევ რომ გაგვადგინდნენოს გაზეთმა თავისი „პასუხით“, ჩვენ ხმასაც არ გავცემთ, რადგან ვიცით, რა ღირსებისაკ იქნება მისი „პასუხი“.

უცნობი.

ქუთაისის ქალაქის არჩევნების გამო.

ქუთაისში არსებობს დიპლომათა წრე, რომელიც თავის თავს „წმინდა ინტელიგენციას“ უწოდებს და რომელიც დღემდის კ. ჩიკვაძესთან ბრძოლაში ოპოზიციასაც კი ითვლებოდა. მაგრამ განშორდა საზოგადო ასპარეზს მათი მოპირდაპირე, და მისი მომხრეების ადგილები ბანკში თუ ქალაქის თვითმართველობაში ხსენებულ წრის წარმომადგენლებმა დაიჭირეს. ამით დაკარგა მან თავის ოპოზიციონური ხასიათი და მოპირდაპირის პოზიცია დაიკავა. ვითომ ბრძოლისა და კრიტიკის მოყვარულა, საზოგადო კონტროლის მოტრფალე, დღეს ის მიძინებს, წაფუჩჩების პოლიტიკას აღვას. მას, როგორც მოარული სენს, ისე ეშინია ყოველგვარი მხილების და თუ რაიმეში პასუხი მოთხოვეთ, მაშინვე საქალაქო დებულების, ან ბანკის წესდების მუხლებით გიპასუხებთ, იქ ასე და ასე სწერიაო. ის წინააღმდეგია, როდესაც კალისტრატეს ებრძვის—ორი, სამი თანამდებობის ერთ პირში შეერთების, მაგრამ ამავე დროს თავისთვის არ სცნობს აქას სავალდებულოთ. ის იძახის საზოგადო თანამდებობათა შეერთება „ბარბაროსულ ჩვეულებათა“ და ამავე დროს არა ერთ თანამდებობას აერთებს მაშინ, როდესაც მთავრობას აზრით აქვს აუღკრძალოს ხმოსნებს ქალაქის საქმეების იჯარით აღება. ავიღოთ დღევანდელი ქალაქის არჩევნები. ერთ და იმავე დროს, ერთი და იმავე ქალაქის ხმოსნობა და კონტრანგენტობა რომ ქალაქსთვის საზარალო და უკანონოა, ეს მთავრობამაც დაინახა და პრესამ და საზოგადოებამ გააკიცხა. ერთი წლის წინათ ჩვენი ქალაქის მამებიც კი თანაუგრძობდნენ მას. მაგრამ დღეს სულ სხვას ვხედავთ. ბ. ზდანოვიჩი გაყვით ქალაქის ხმოსნათ, რომელიც იმავე დროს ნეჩინერ მხხილოვის წყლის გამოყვან საზოგადოების წარმომადგენელი, თავმჯდომარეა. ეს ამხანაგობა კი სხვა და სხვა მიზეზებს პოულობს, ხელშეკრულებას არღვევს და მუშაობის დაწყებას აგვიანებს. ვინა ინტერესები უნდა დაიკვას ბ. ზდანოვიჩმა—როგორც ხმოსანმა,—ქალაქს თუ ნეჩინერ მხხილოვის ამხანაგობას?...
მაგრამ რას ვამბობთ! სამართლე და მხილება მხოლოდ მაშინ მაინა ჩვენ „ინტელიგენციას“ საქიროთ, როდესაც ის ზუთონის ხალხს ებრძვის. კიდევ მაგალითი. ერთი და იგივე პირი გამგეობაში მოხმასხურე და იმავე დროს ქალაქის ხმოსანი, თუშცა სტატეების ძალით კახონიერია, მაგრამ ქალაქის ინტერესებისათვის საზარალო, ზნეობრივათ უხერხული. განა შეიძლება იმ პირმა, რომელიც ქ. გამგეობისაგან არის დამოკიდებული უკანასკნელის წინააღმდეგ რაიმე თქვას? არა, შეიძლება დღევანდელ გამგეობასაც სწორეთ ეს სურს, ასეთი პირების შესვლით ქალაქის საბჭოში ის ასუსტებს თავის მოპირდაპირეებს, სამაგიეროთ ის მოხარულია ისეთი პირების გაშაფებისა, როგორც არის ბ. სვანიძე. კიდევ ერთი შენიშვნა. როდესაც სჭარია ჩვენ გამგეობას (გაიხსენეთ მხხილოვთან კამათი), მაშინ ქალაქის განაპირი—ქომა ქალაქის

ფარგალშია, მაგრამ როდესაც თვითონ ქომელებს სურთ, რომ ისინიც მოქალაქეებათ ითვლებოდნენ, მათაც ქონდეთ ხმა ქალაქის მართვა გამგეობაში—მაშინ კი აღარ ეკუთვნის ქალაქს გარეთ რჩება. არც ერთი ხმოსანი, არც ერთი ამომრჩეველი ქომიდან. ბულვარს იქით თუ ცხოვრობს ქუთაისში ვინმე, ჩვენ ქალაქის მოღვაწეებს არ გონიათ, ვინც თფილისის და მხხილოვის ქუჩებზე არ ცხოვრობს, იმას არც გზა უნდა, არც განათება—ან კი რა საქიროა; ტალახი და სიბნელე საქმარისი არ არის? გზა რომ გაუკეთონ და გაუნათონ, მცხოვრებლები ფუფუნებას შეეჩვევიან და ბოლოს იქამდისაც მივლენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისელ ყახბების ალაგვასაც კი მოსთხოვენ გამგეობას, რაც სრულიათ არ არის უკანასკნელი-სათვის ხელ საყრელი.

არა ჭოშელი.

აღამიანის უჩინარი მტრები.

I.

თუ არ გინახავს, მკითხველო, სპილო, გაგონათ მაინც გექნება წარმოდგენა იმისი უზარმაზარი ტანის შესახებ. წამოასკუბე დიდი სპილოს გვერდით ერთ ცახე ფუმფლა, რომელსაც ბავშვის სულის შებერვაც კი მტერათ აქცევს, და დარწმუნდები, რა ახირებულია ბუნება. ერთი მხრით სპილოსა და მეორე მხრით ფუმფლის გაჩენით ის აშკარათ გვეუბნება: დიდი, პატარა ჩემთვის არ არსებობს,—ეს მცნებები მხოლოთ აღამიანის გამოგონილიაო. და მართლაც ბუნებისათვის დიდი და პატარა სულ ერთია; მას მხოლოთ სიცოცხლე რწამს და, თუ სპილოს ოდენა ცხოველს ამოძრავებს, ამავე დროს ისეთ პატარა არსებას ანიჭებს სიცოცხლეს, თვალში რომ ჩაგივარდეთ, არა თუ თითს არ ამოისვამთ, ვერც კი ვაიგებთ. პოლი-ონტოლოგიამ, რომელიც აღმონაკვეთ ცხოველებს იკვლევს და სწავლობს, დავეიმტკიცა, რომ უწინდელ დროში ისეთი დიდი ცხოველები ყოფილან, რომლებთანაც სპილო პატარა ფინიათ თუ გამოჩნდებოდა. ბაქტერიოლოგიამ კი მიკროსკოპის საშუალებით დაგვანახვა ისეთი პატარა ცხოველები, რომლების გარჩევაც აღამიანის თვალს არ შეუძლია. ერთი სიტყვით სად თავდება დიდი და სად პატარა, აღამიანმა არ იცის. ბუნება ანიჭებს სიცოცხლეს როგორც სპილოს, ისე ბაქტერიას. სპილო ცოცხლობს, საზრდობს, მრავლდება, იბრძვის არსებობისათვის,—მაგრამ არც პატარა ბაქტერია რჩება მას უკან: ისიც ცოცხლობს, საზრდობს, მრავლდება ისე ძლიერათ, რომ ოცდაოთხ საათში მილიონობით დატოვებს ჩამომავლობას, და არსებობისათვის ხომ ისეთი თავგამოდებით და მოხერხებით იბრძვის, რომ ცხოველთა შორის ყველაზე უფრო გონიერს—აღამიანსაც კი საიქიოს ისტუმრებს ხოლმე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობას, რომ საშუალო საუკუნოებში ჟამი ანუ ქირი მივლ სოფლებსა და ქალაქებს ამოჟლეტავდა ხოლმე, ჩვენს დროში კი ქლექის ბაცილები კაცობრიობის მეშვიდედს ასალმებენ სიცოცხლეს, მართო აქედანაც აშკარა იქნება, რომ ქვეყნიერებაზე აღამიანის სიცოცხლეს უჩინარი ბაცილასთანა სასტიკი მტერი არ გააჩნია. ბაქტერიებში ძალიან ბევრია ისეთი, რომლებიც აღამიანს სრულებით არ ერწიან, მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა მათი გაცნობა, რომლების ბედნიერათ ცხოვრებაც აღამიანის დასწეულებსა და მოსპობაზე არის დამოკიდებული.

თუშცა ქალსტეს წინეთაც ბევრი იყო. დარწმუნებული, გადაძღვბი სწეულების გამომწვევი პატარა არსებები არიანო, მაგრამ აშინ დამტკიცება არაფის. არ შეეძლო, რადგანაც გაშადღებელი შუშები არ იყა მაშინ გამოგონილი. აღამიანის თვალმა პატარაბაქტერიები მხოლოთ მეჩვიდმეტე საუკუნეში იხილა. ეს იყა ლევენჰუკი მილანდიელი, რომელმაც გააკეთა

მიკროსკოპი და 1683 წელს თავის საკუთარ ნერწყვში და კბილების ანატომიაში აღმოაჩინა მიკრობები; დაარქვა „animalcules“, ე. ი. პატარა ცხოველები. ლევენჰუკის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ქონდა, თუმცა თვითონ ლევენჰუკს აზრათაც არ მოსვლია, რომ გადამდებ სნეულებათაც სხვა-დასხვა გვარი პატარა არსებები იწვევდნენ. ლევენჰუკის შემდეგ პატარა არსებები ბევრგვარ სითხეში ნახეს და ამის შემდეგ ღრმად გავრცელდა ის აზრი, რომ ყოველგვარ ავთომყოფობას უჩინარი ცხოველები აწებდნენ. ექიმები თითქმის ყოველგვარი სნეულების მიზეზს მიკროორგანიზმებში ხედავდნენ, ასეთი აზრის ფაქტებით დამტკიცებით კი არაფერ არ ცდილობდა. როდესაც მეცხრამეტე საუკუნის სკვტიციზმმა და კრიტიციზმმა ყოველგვარ აზრსა და რწმენას საკუთარი ფაქტები და უტყუარი საბუთები მოთხოვა, მიკროორგანიზმების მომხრე ექიმებმა და მეცნიერებმა ვერაფერა საჩუქნო საბუთები ვერ წარმოადგინეს და ამიტომ მათ რწმენასაც ნიადაგი გამოეთხარა, თუმცა ისინი მართალი იყვნენ. თუ აქამდე თითქმის ყოველგვარ სნეულებას მიკრობებით ხსნიდნენ, ახლა ყველა ამტკიცებდა: მიკრობებს არავითარი სნეულების გამოწვევა არ შეუძლიათ, და ამგვართ ერთ უკიდურესობას მეორე უკიდურესობა მოყვა. მაგრამ იმავე მეცხრამეტე საუკუნეში, რომელმაც სასაქლოთ აიგდო მეთვრამეტე საუკუნის ქეშმარიტი აზრი, ისევე აღადგინა ეს მოძღვრება და მეცნიერებაში მას საბატო ალაგი მოუპოვა; ასეთი ცვლილების მიზეზი იყო ის ფაქტები და საბუთები, რომელთა ძიება ყოველ სფერაში მეცხრამეტე საუკუნის ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. მეორე აქვე წლებში იკვებებოდა აღმოაჩინა სხვა-დასხვა გვარი ბაქტერიები და მიკროორგანიზმები, რომლებსაც ინფუზორიები უწოდა. ამავე დროს ნიქიერმა ანატომიაში ლენ-ლემ გამოცდა თავისი შესანიშნავი შრომა „Pathologische Untersuchungen“-ი, რომელშიაც იკვლევს სხვა-დასხვა გადამდებ სნეულებათ და ამტკიცებს: მათი გამოწვევა მიკროორგანიზმები არიანო. ამ ორი მეცნიერის გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა ხელახლა მიაქციეს ყურადღება ბაქტერიებს და დაიწყეს მისი ძიება, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა მიკროორგანიზმებსა და გადამდებ სნეულებათა შორის. ორმოცდაათ წლებში ბოტანიკოსმა კონმა დაიწყო იმის კვლევა, მცენარეთა გვარს ეკუთვნოდნენ ბაქტერიები, თუ ცხოველთა გვარს. მალე მან გამოაქვეყნა თავისი შრომა, რომელშიაც ამტკიცებდა ბაქტერიები მცენარეები არიან და არა ცხოველებიო. როგორც ყოველ ახალ აზრს, კონსაც ბევრა მომხრე და ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდნენ. კონის შემდეგ ბევრი მეცნიერი მივიდა იმავე დასკვნამდე და დღეს მეცნიერება ბაქტერიებს მცენარეთა გვარს აკუთვნებს, თუმცა მეცნიერების წარმომადგენლები დღესაც ვერ მორიგებულან ერთმანეთში ამ კითხვის შესახებ; ზოოლოგები ამტკიცებენ, ბაქტერიები ცხოველები არიანო, ბოტანიკოსები კი გაიძახიან, — არა, ბაქტერიები მცენარეთა გვარს ეკუთვნიანო. კონის გამოკვლევის შემდეგ ლავანმა და რიეირმა ხუხარათი (сибирская язва) მკვდარი ცხვრის სისხლში ჩხირების შხავის ბაქტერიები აღმოაჩინეს; პოლენდერმა და ბრაულმა იგივე ბაქტერები აღმოაჩინეს 1855 წელს ხუხარათი ავთომყოფი ადამიანის სისხლში. ამ ორ აღმოჩენას მართალია ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა, მაგრამ ამით ჯერ მაინც არ მტკიცებოდა ის აზრი, ვითომ ხუხარას და ყველა სხვა გადამდებ სნეულებათ ბაქტერიები იწვევდნენ. შესაძლებელი იყო, ბაქტერიები მხოლოდ შემთხვევით გაჩენილიყვნენ სნეული ცხვრისა და ადამიანის სისხლში და ხუხარას გამოწვევაში სრულებით უდანაშაულონი ყოფილყვნენ. ხოლო თუ ცხოველის სხეულს გარეში გაამრავლებდა ვინმე ამ ბაქტერიებს, შემდეგ შეიყვანდა მათ სრულიათ საღი ცხოველის

ტანში და დასნეულებდა ხუხარათი, მაშინ კასაკი ექვს გარეშე იქნებოდა, რომ მხოლოდ ეს ბაქტერიები აწებდნენ ხუხარას და სხვა არაფერი. მეცნიერებიც სწორედ ამას იყენებდნენ ადგენ. მესამოცე წლებში Delafond-მა მოახერხა ბაქტერიები სისხლში; მას შემდეგ კი Davain-მა შეასხა ეს ბაქტერიები საღ ცხვარს, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ ხუხარათი გახდა ავთ და მოკვდა. როდესაც ამგვარი ცდა რამოდენჯერმე გაიმეორეს და ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი მოყვა, ამით დამტკიცდა, რომ ხუხარას მიზეზი ერთგვარი ბაქტერიები იყვნენ. ამ გარემოებამ ისევე გაიტაცა მეცნიერები, როგორც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. ყოველგვარ სნეულებას ბაქტერიებით ხსნიდნენ, ყველა ბაქტერიებს ეძებდა და პოულობდა კიდევ. საკმარისი იყო, ავთომყოფი ადამიანის ტანში რაიმე ბაქტერია ეპოვათ, რომ მაშინათვე აღეარებიათ ის სნეულების მიზეზათ.

ათიოდე წლის განმავლობაში მთელი ლიტერატურა წამოიშვა ბაქტერიების შესახებ; ყოველგვარ სნეულებას უკვე თავისი ბაქტერია გააჩნდა. სამწუხაროთ მალე გამოაშკარავდა, რომ ქეშმარიტების პონა არც ასე ადვილი იყო, და მთელი ამოდენა ლიტერატურა უმეტეს წლათ სიცრუეს ქადაგებდა. საქმე იმაშია, რომ საკმარისი არ არის, რაიმე სნეულებით დაავთმყოფებულის ტანში ბაქტერია იპოვოთ, რომ ის ამ სნეულეების მიზეზათ აღიაროთ; კიდევ უნდა დამტკიცოთ, რომ თქვენ მიერ ნაპოვნ ბაქტერიას მართლა შეუძლია იპვარივე სნეულების გამოწვევა; ამის დამტკიცება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ბაქტერიებს სრულიათ საღ ცხოველს შეასხამთ ტანში და დაასნეულებთ. ამ გარემოებას მაშინდელი მკვლევარნი მხედველობაში არ იღებდნენ. სამოცდაათ წლებში უკვდავმა პასტერმა დამტკიცა, რომ შესაძლებელია ბაქტერიების გახდა და გამრავლება ცხოველის სხეულს გარეშე. მან გაამრავლა ბაქტერიები სისხლში, ზულიონში, კარტოფილზე და სხვ. ამის შემდეგ დაიწყო მუშაობა მრავალმა მეცნიერებმა, რომელთა შორის ყველაზე უფრო ნაყოფიერი კოხი იყო, და ასეთ თავგამოდებულ მუშაობას ის შედეგი მოყვა, რომ დღეს მეცნიერებამ იცის და შესწავლილი აქვს სხვა-დასხვა სნეულებათა გამოწვევი ბაქტერიები. ბაქტერიები საშინელის სისწრაფით მრავლდებიან. კოხმა გაამრავლა ქლექის ბაქტერები და 22 თვის განმავლობაში 34 თაობა მიიღო. როდესაც მეოცდაათობამეტე თაობის ბაცილება მან შეასხა სისხლში სხვა-დასხვა ცხოველებს, უკანასკნელნი დაქვებდნენ და დაიხოცნენ. ესა და სხვა ბევრი ამგვარი ცდა აშკარათ არკვევდნენ გადამდებ სნეულებათა საიდუმლოებას. ექვს გარეშეა, რომ ყოველგვარ გადამდებ სნეულებას თავისი საკუთარი ბაქტერია აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ბევრია ისეთი გადამდები სნეულებანი, რომელთა მიკრობები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. ამის მიზეზი უნდა იყოს ერთი მხრით ბაქტერიების ისეთი სიპატარავე, რომელსაც მიკროსკოპიც კი ვერას უხერხებს, მეორე მხრით მიკროსკოპით ტენიკის ნაკლებუფეანებანი: ბაქტერიები სხვა-დასხვა საღებავებში უნდა შეღებოთ, რომ მათი დანახვა მიკროსკოპში შესაძლებელი გახდეს. ამ საღებავების შერჩევა და საზოგადოთ ბაქტერიების შეღებვა ადვილი საქმე არ არის; სულ ხშირათ ან შემახვევით ან დიდხინის უქმი მეცადინეობის შემდეგ წაწყლებით რომელიმე საღებავს ან საღებავების პროპორციას, რომელიც ამა თუ იმ ბაქტერიას დაგანახვებთ. სხვა საღებავში და პროპორციაში რამდენიც უნდა ვცადოთ, ვერაფერს ვერ დანახავთ.

(მართველს ჭირანდის სამეცნიერო საზოგადოების „აბრეშუმისას“).

ძლიერ ვწუხვართ, რომ ეს მეორე კვირდება ღია წერილის წერა ამ საზოგადოების შესახებ *), მაგრამ საზოგადოების აბრეშუმისა აგდება, იმისი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათვალვად და მართლ თავისი თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილებად, რომ მართველი ბრძანდებიან (საქმით თუ არა, სიტყვით მაინც!) ეს ჩვენთვის იმდენათ სასურველია, რომ იძულებული შევიქნებით საზოგადოების წინაშე არ დავმალვით ის, რაც თქვენის წყალობით მოხდა. დეე საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი თქვენ მოქმედებას. დეეს ისეთი დროა, რომ ყოველ ჩვენ მოქმედებას საზოგადოება წინაგვს. როცა რამე საქმეში გვირჩევენ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს არ დავდგეთ, ძლას ვერ-დაგვატანს ვერავინ. და თუ თანახმა ვართ, მაშინ სიფრთხილე გვმართებს, თორემ მსჯავრი ამოგვიხდება. ჩვენ ამით იმისი თქმა ვი არ გვინდა, რომ თქვენ საზოგადოების ფული გაფლანკეთ შექაი, არა, ამაში თქვენ ვერავინ ჩირქს ვერ მოგცხებთ, მაგრამ თქვენ ჩაი-დნეთ ისეთი საქმე, რომ ამაზე უარესიც არის. წელს თქვენი მოქმედება ჩვენ გვაგონებს იმ გმირს ქრისტეს იგავისა, რომელსაც მიუღია თავის ბატონისაგან ერთი ტალახტი საწარმოებლათ ერთი წლით, რომ მოგებით უნდა ჩაებარებია უკანვე, მაგრამ მან ის მი-წაში ჩაიფლა; შედეგი რაც იყო, ხომ იცით! ხომ ასე მოაქციით თქვენც?! შარშან ჩვენი წერილის შემდეგ ერთმა კომისიის წევრთა-განმა ბ. წერეთელმა (მაშინ თქვენც წერა ბრძანდებოდათ) მოიხდომა და მიძინებელი ამხანაგობის საქმე ამუშავა, თავისი საქმეები მიატო-ვა და ამხანაგობას ხატოისნათ კმისხურა, რომლის ენერჯის და შრო-მის ნაყოფი არის 700 მანეთამდე მოგება, რისთვისაც ჩვენ ვუცხა-დებთ მას გულ-რწფელ მადლობას. წელს კი მართლ თქვენ ბრძან-დებით ამხანაგობის მართველი და კიდევაც ჩაბარდა ხატოისნათ მო-ვლი საქმე! დღემდის ვერ გავგიგია, რისთვის შეუფერხდა საქმე, რი-სთვის არ გამოიწერეთ თესლი?! ერთხელ გავარჯილეყს ხმა, რომ ვი-თომ იმ ადგილების არენდატორები, სდაც თქვენ მართველი ბრძან-დებით, წინააღმდეგი არიან აბრეშუმის მოქმედებისა, რადგან აბრე-შუმი წყენს უფროსის მსახურსა, მაგრამ ამასაც ამბობენ, რომ იმ არენდატორებს გამოუწერათ ოდიშიდან თესლი და აბრეშუმი გაუჩინათ. ვისაც ვერ უშოვიათ, ისინი თქვენზე საშინლათ გულ-მსუღონი არიან. შარშან, სოხუმში კრებაზე თქვენ გულ-ანდით გა-ხანცადეთ, რომ თავმჯდომარეთაც მე უნდა ვიყო და ხაზინადრათა-ცო! თქვე დალოცვილო, მართლ სახელის მოსახვეჭით აყენეთ ასეთი კორინტელი?! 31 იანვარს მიმდინარე წლისა, ჩვენ ამოვარჩიეთ სს-ში კაცი სარევიზიო კომისიისა, ესენი გავლავთ: მღვდ. სახოკია, გ. დადიანი და ბ. ბერძენიშვილი. როგორც ესენი ამბობენ, თქვენ გითქვამთ მათთვის, რომ სახამ თქვენ არ დაიბარებთ, იმით არ შეუ-ძლიათ რევიზიის მოხდენა. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია ასეთი განკარგულება. ხუ თუ თქვენგან უნდა იყოს დამოკიდებული სარევი-ზიო კომისიის მოქმედება, ბ. მიხეილ! დღემდე ვერაფერი უთქვამთ ამით, რადგან კიდევ უღიან დაბარებას. თქვენ კი უფრსაც არ იბერტუთ და არაფრათ აგდებთ საქმეს. ხუ თუ თქვენ არ იცით, რომ რო-გორც თქვენ ხატოისნათ შრომას, ისე უსაქმობას საზოგადოება კრი-ტიკის თვალთ შეხედავს და ხასუხს მოგთხროვთ?! კიდევაც ამისთვის ვთხოვლობთ თქვენგან მოგვიგოთ ხასუხი შემდეგ კითხვებზე: 1, რა არის ჩვენამერ დაარსებულ ამხანაგობის მიზანი? 2, წარმოება თუ 4% საწვერო ფულის გასესება, როგორც თქვენ შერბით? 3, რა მიზეზია, რომ თესლი არ გამოიწერეთ? 4, თუ თქვენ იტყვით, რომ შარშან რამდენიმე კოლოფი დარჩა გაუსადებელი, რა ჯობს ათორდე კოლოფის გაუსადებლობა თუ 700 მანეთამდე მოგება? 5, გავაგებოთ წელს რამდენი ექნება მოგება ამხანაგობას თქვენგან გასესებული ფულის ხრცენტიით? 6, თუ თქვენ არ გინდოდათ, ან არ შეეძლოდა ამხანაგობისთვის შრომის გაწევა, რისთვის მიადეო

ეს სმსხურა?! 6, თუ თქვენ გეშინოდათ თესლის გაუსადებლობის, რისთვის არ მიანდეთ უბრალო სახუმის ვაჭარს ეს საქმე, რომელიც გამოიწერდა თესლს და დაურიგებდა მცხოვრებლებს? 7, თუ თქვენ ამხანაგობის ხმა, თათქა აბრეშუმი მასხავს ავებს, თქვენ რა მოქმედებთ? 8, და თუ წარმოების გაუქმება გსურდათ, რა საჭირო იყო, შარშან რომ 500 მანეთამდე დასარჯეთ ფარდულების გა-კეთებაში და სხვა ხელ-საწეოზე? 9, თუ ეველა ამაში მართალი ხართ და ეს მოხდა თქვენი სურვილის წინააღმდეგ, რისთვის არ შეკრი-ბეთ ამხანაგობა და არ გამოუცხადეთ საქმის ვითარება?

აი კითხვები, რომელზედაც თქვენგან ვთხოვლობთ კატეგორი-ულ ხასუხს, და თუმც არ მოგიციათ, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებ-ბული შევიქნებით თქვენ ასეთ საქციელზე ამხანაგობის უურადლება მივაჭვით.

ამხანაგობის წევრი—ი. დუნდუა, სარევიზ. კომ. წევრი—ბ. ბერძენი-შვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

სასწავლებელი და პანსიონი.

ა. მამულაიშვილისა.

ამხანაგებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებსათვის (გი-მნახია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კალეტა კორპუსი და სხ.). იქვე ამხანაგებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცოთა (переэкзаменовки) ვერა, სლებცოვის ქუჩა, № 13. ხემმელის აფთექის მხ-ლობლათ.

თფილისის კერძო სამკურნალო მ. გელაქანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავთმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ღ ი თ :

- გ. ი. ჭიჭინაძე — იკბლის სნეულეზანი, 8—10 საათ.
- მიხეილ გელაქანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრო-ნით, 9—10 საათ., სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათისა.
- ბ. ბ. მალაქაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
- ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულეზანი, 10—12.
- კ. მ. კელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გელაქანიშვილი — ნერვებისა, შინაგ. და წამლობა ელექტრონით 12—1.
- ვ. მ. მანსუეტოვი — შინაგანი და ნერვების, სამშაბ. და პარასკ.—1—2.
- ს. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულეზანი, ორშაბათობით-ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- გ. გრ. სობოლევსკი — ქირურგ. და ორტოპედული, ორშ. ოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.
- ბ. მ. ამბარდახოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა დ ა მ ო თ ი :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულეზანი, 5—6.
- მ. გ. იანხუჯი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვი-რაობით 12—1.
- ს. გ. მალაქაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმი-ურა გამოველევანი 5—6.

კ ვ ი რ ა ბ ი თ :

- ბ. ბ. მალაქაშვილი — შინაგან ავთმყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარი-გებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები. მორიგებით. (წლ.).

*) იხილეთ „კვალი“ 1901 წ. № 9